

F 49 / 1919

6521

გ. 4° 214



ქრონიკული ბიბლიოთეკა

№ 7.

ქალიწალი  
 ● გეორგი ●

ბზილისი  
 1919 წ.  
 15 იანვარი.

# საქართველოს ჟარისტი

F-5778  
#11.214

## ყოველ-კვირული ჟურნალი „რესპუბლიკის ჟარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერ. განყოფილებით).

აქიერიდან გამომდის გადიდებული ფორმატით და მანუსკრიპტული რედაქციით.

ჟურნალი მთლიან ფლიტ ედირება 60 მ., ნახევარი ფლიტ 35 მ., სალქი ნომერი 1 მ. 50 მ.

ჟურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კლოუზნის) ქ. ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — ჟურნალ „რესპუბლიკის ჟარისთვის“. ჟურნალის „რესპუბლიკის ჟარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლოპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. ჟურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

- 1) ომი და ზავი (მეთაური).
- 2) საქართველო-სომხეთის ომის შესახებ ა. ხ.
- 3) საუბარი ჯარის კაცთან ივ. გომართელი.
- 4) სპეკულიანტები.
- 5) ჯარში მეცადინეობის შესახებ ა. ბ.
- 6) საქართველო. ისტორიიდან ი. გედევანიშვილი.
- 7) სარდლის თვისებანი შ. უორდანი.
- 8) ჯარის ალღუმი ლ. ცაგარელი.
- 9) სომხეთ-საქართველოს კონფერენცია დროებითი ზავის შესახებ.
- 10) კვირული მამოხილვა ვ. მოძველი. და სხვ.

# იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება

ა მ ი თ ა ც ხ ა დ ე ბ ს რ ო მ

1919 წლის 1 იანვრიდან იგი ეამოსყმის კვირაში ერთხელ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“.

კრებული ოფიციალური გამოცემა და შივ მოთავსებული იქნება ვეულა კანონი, მთავრობის განკარგულებანი ზოგადის ხასიათისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებანი.

საქართველოს ჰარლამენტის მიერ ამა 1918 წლის 11 ოკტომბრის „კანონთა გამოქვეყნების“ კანონით, ეოველი კანონი ძალაში შედის შვიდის დღის შემდეგ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებიდან.

წესდებანი სხვა-და-სხვა სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებისა დაიბეჭდებ „კანონთა კრებულის“ მეორე ნაწილში ცალკე მორიგებითა და საფარით.

წლის დამლევის კრებულს დაერთვის სამ ნაირი ვრცელი სარჩევი: ანბანსეგ დაწეობილი-საგნობრივი, ქრონოლოგიური და სისტემატიური.

„კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“ ელირებ წლიურად მთავრობის დაწესებულებათა და მოხელეთათვის 30 მან., კერძო ხელის-მომწერთათვის 40 მან. ქ. ტფილისში. ხოლო ჰროვინციაში კავსავნით 50 მან.

თითო ნომერი კრებულისა ცალკე იქნება შეფასებული.

ამა 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 1-ლ იანვრამდე გამოცემულ კანონები უკვე იბეჭდება და სარჩევით ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

ხელის-მოწერა მიიღება იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილებაში, რომლის სახელობაზედ უნდა გამოიკსავნოს ფული საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილიდანაც.

## მ ი ს ა მ ა რ თ ი :

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება ქ. ტფილისში, სასამართლო დაწესებულებათა შენობაში.

„რესპუბლიკის ჟარნი“

(სამხედრო სამინისტროს განაკრგუ უფათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

ოფიციალი განყოფილება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ

23 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 189

ვბრძანებ პირველის ცენზოსანის პოლკის პოდპოლკოვნიკმა ავალიშვილმა შეადგინოს ცენზოსანი ასეული ხევისურთა, მოხვეთა და ფშავთაგან.

30 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 190

ხშირად ჯარის ნაწილების სასურსათო საწყობებიდან თხოვლობენ სხვა და სხვა სურსათ-სანოვავებს უბრალო ბარათებით და არა დაწესებული ჩეკის წიგნების ფურცლებით ან ადგენენ ბეჭედ დაუსმელ ფურცლებს. ისეთ შემთხვევებსაც კი აქვთ ადგილი, როდესაც ჯარის ნაწილები კერძო პირებს ბრძანებენ სანოვავებს ან ცხენების საკვებს, აძლევენ ბათილ-მეტებს და ფულის მისაღებად სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებაში ისტუმრებენ. ვინაიდან ასეთი მოქმედება ხელს უშლის როგორც სურსათის საწყობებს, ისე საადმინისტრაციო განყოფილებას აწარმოვონ ჯეროვანი ანგარიში ხაზინის შემოსავალ-გასავლისა, ვბრძანებ სურსათ-სანოვავებს მოთხოვნილება დაწერილი იქმნას ჩეკის წიგნის ფურცელზედ, დასმული ჰქონდეს ჯარის ნაწილის ბეჭედი და ხელმოწერილი იყოს სამეურნეო ნაწილის და საქმის მწარმოებლის მიერ.

უამისოთ უბრძანებ სასურსათო საწყობების გამგეებს არ გასცენ სურსათ-სანოვავ და ცხენების საკვები საწყობებიდან, არც ომის ასპარეზზედ და არც ზურგში.

ჯარის ნაწილებს კი ვავალებ იქონიონ ყოველთვის გამზადებული ჩეკის ფურცლები, რომ არც თვითონ დაბრკოლდნენ სურსათის მიღების დროს და არც საწყობების გამგეებს გაურთულონ საქმის წარმოება.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,  
გენერალ-მაიორი მდივანი.

30 დეკემბერი 1918 წ: ქ. ტფილისი.

№ 191.

ნაცვლად და განსამართებლად მე-X დამატების 1429 მუხ. ს. კ. 1869 წ. XXIV წიგნის მე-4 გამოცემიძა (სამხედრო უწყებისადმი ბრძანების 1914 წ. № 464 და 1915 წ. № 513). და სამხედრო უწყებისადმი ბრძანებაში 1917 წ. № 7 გამოქვეყნებულ კანონების, განაჩენის გამოტანის და სისრულეში მოყვანის სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ ომიანობის დროს და აგრეთვე გადაღების სამხედრო გამოძიების და სამხედრო საზოგადოებრივი საქმეების იხელმძვანელება ქვემო აღნიშნული კანონები:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ოფიცერს, სამხედრო მოხელეს და ჯარის კაცს, რომელნიც არიან გასაგზავნი მომქმედ ჯარში, მიუსაჯავენ იმნაირ სასჯელს (5 და 6 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი. მე-4 გამოცემა), რომელიც არ იწვევს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნას, მაგრამ დამოკიდებული კი არის დაპატიმრებასთან, სასჯელის მოხდა ომის გათავებამდის გადაიდგება; დანარჩენ შემთხვევებში კი განაჩენი საჩქაროთ მოიყვანება სისრულეში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მომქმედ ჯარში გასაგზავნი ჯარის კაცს მიუსაჯავენ გამასწორებელ სასჯელს, (6 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგ. მე 4 გამოცემა) სამხედრო წოდების ჩამორთმევით და სამსახურიდან დათხოვნით, უფროსებს, რომელნიც სარგებლობენ პოლკის უფროსების და უმეტესი უფლებით ეძლევათ უფლება ან გაგზავნონ დამნაშავე დასაპატიმრებლათ, როგორც განაჩენშია აღნიშნული ან კიდევ განაჩენის ყველა მისის შედეგებით ასრულება გადასდონ ომის გათავებამდის და გაგზავნონ დამნაშავე ჯარში.

3. 1-სა და 2 მუხ. აღნიშნული წესები ეხება იმ სამხედრო მოსამსახურეთაც, რომლის შესახებაც განაჩენი არის გაგზავნილი სისრულეში მოსაყვანათ, მაგრამ ჯერ არ არის ასრულებული, ან კიდევ დამნაშავემ არ მოიხადა სასამართლოსგან მინიჭებული საპატიმრო სასჯელი.


4. იმ შემთხვევაში თუ გადაიღო განაჩენის ასრულება ომის გათავებამდის, ამის შესახებ ნაწილების უფროსები, რომლებიც მოვალენი არიან განაჩენი მოიყვანონ სისრულეში, საჩქაროთ ატყობინებენ კუთვნილებისამებრ სამხედრო პროკურორს, ან კიდევ სამოქალაქო უწყების პროკურორებს.

5) გადაღებული სასჯელი მოჰყავთ სისრულეში ომის გათავების შემდეგ, მაგრამ თუ დამნაშავემ გამოიჩინა ბრძოლაში სიმამაცე ან კიდევ რაიმე ფრიად სამნიშვნელო მოქმედება, უფროსს, რომელიც სარგებლობს პოლკის უფროსის უმეტესის უფლებით ეძლევა იშუამდგომლოს უფროსის წინაშე სასჯელის შემსუბუქებისათვის ან კიდევ სრულებით პატიებისთვის. ამ შუამდგომლობას სწყეტს ლაშქართ უფროსი, რომლის გადაწყვეტილებასაც ნაწილის უფროსი, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა, ატყობინებს კუთვნილებისამებრ სასამართლო მართველობას.

6. სასჯელი, მიკუთნებული სისხლის სასამართლოს ლაზღვევისათვის, არ გადაიდება ომის გათავებამდის (მე 2 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი. 4 გამოცემა)

7. გადაიდება ომის გათავებამდის სამხედრო სასამართლოს წარმოება, რომელიც ექვემდებარება პოლკის ან კიდევ მის თანასწორ უფლებიან სასამართლოს იმ ჯარის კაცებზე, რომელნიც გასაგზავნი არიან მომქმედ ჯარში.

8. ის სამხედრო-საგამომძიებლო და სამხედრო სამოსამართლო საქმეები ოფიცერთა, სამხედრო ხარისხოსანთა და ჯარის კაცთა, რომელნიც უნდა გაიგზავნონ მომქმედ



ჯარში და რომელიც დაქვემდებარებული არიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოსთვის, შესაძლებელია გადაიდვას ომის გათავებამდის, მხოლოდ აღნიშნული სასამართლოს დადგენილებით, რომელს სასამართლოსაც უნდა მიმართონ ხოლმე სამხედრო უფროსებმა, ყოველ შემთხვევაში ცალკე.

9. ომის გათავებამდის შეჩერებული საქმეები იმ რიგით, როგორც ნაჩვენებია 7 და 8 მუხ, განახლებული უნდა იყვნენ ომის გათავების შემდეგ და უნდა იყვნენ გარჩეული. მე 5 მუხლში ნაჩვენები წესები ეხება აგრეთვე იმ დამნაშავეებსაც, რომელთა საქმის გარჩევა გადაიდვა ომის გათავებამდის, სასამართლოს განჩინების დადგენის შემდეგ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი**

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ**

4 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 1

**ინიშნებანი:** ჩემს განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორნი; დადუშკელიანი და ციციშვილი — სამხედრო საკასაციო სასამართლოს დროებით წევრებათ.

მინდობილობისათვის შტაბ-ოფიცერმა სამხედრო სამინისტროსთან პოლკოვნიკმა ჯაფარიძემ მოხსენებით შემატყობინა რომ 1918 წ. 26 დეკემბერს ვაემგზავრა სამსახურის მოთხოვნის გამო სომხეთის რესპუბლიკაში.

სამხედრო მინისტრის მაგიერ  
გენერალ-მაიორი მდივანი.

5 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 2

ჩემს მინდობილობაში მყოფ გენერალ-მაიორ კონიაშვილს ვნიშნავ ჯარების მთავარ-სარდლათ სოხუმის და სოხის ოლქებში.

დღნიშნულ გენერალს უმორჩილებ საქართველოს ყველა სამხედრო გემებს, სამხედრო ნსრით კი ყველა ნავთსადგურებს შავ ზღვაზე რესპუბლიკის საზღვრებში.

5 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 3

§ 1.

1178 სამხედრო სასანიტარო მატარებელი გადაყვანილია სად. ბორჯომიდან სად. სადახლოში სანაინის ფორტი-სათვის სამსახურის გასაწევად.

§ 2.

შედგენილია 116 სამხედრო-სასანიტარო მატარებელი და გაგზავნილია ბორჯომს ახალციხის რაზმისთვის სამსახურის გასაწევად.

§ 3.

შედგენილია და გაგზავნილი ფორანტზე პირველასა და მეორე დივიზიის შემხვევი რაზმები.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 4

§ 1.

დამატებით ბრძანებისა რესპუბლიკის ჯარების მიმართ № 119, ვაცხადებ, რომ ყველა ხარისხოვანი ჯამაგირს იღებენ თანახმათ თავის თანამდებობისა მშვიდობიან დროს.

§ 2.

გენერალური შტაბის განყოფილების ტელეგრაფის ნაწილის ყველა მოხელეები ომის დაწყებიდან ირიცხებიან მომქმედ ჯარში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

ჯარის ცხენების შევსების სექციის და მასთან მყოფი მუდმივი სარემონტო კომისიის დროებითი შტატები.

ხარისხოვანთა დასახელება.	ხარისხოვანთა რიცხვი.	თვეური საზღო.	
სექციის უფროსი, იგივე მუდმივი სარემონტო კომისიის თავმჯდომარე, შტაბ-ოფიცერი . . . . .	1	1150	*) შეიღებულ ნებით დაქირავებულნი იყვნენ, ჯამაგირით თვეში 400 მანეთამდე.
<b>კომისიის წევრნი:</b>			
შტაბ-ოფიცრები . . . . .	2	850	
საქმის მწარმოებელი, ობერ-ოფიცერი . . . . .	1	725	
ბეითალი . . . . .	1	850	
გადამწერი*) . . . . .	2	—	
ს უ ლ . . . . .	7	4425	

**შენიშვნა:** საკანცელარიო ხარჯებისთვის 100 მანეთი თვეში.

გენერალური შტაბის უფროსი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი.

31 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი

№ 138

**გაუქმებულ იყოს:** ყოფილ სამხედრო მინისტრის კესრენსკის ბრძანება, გამოქვეყნებული „რუსკი ინვალიდში“ 27 ივნისიდან 1917 წ. № 148. ოფიცრების ჯარისკაცთა წმინდა გიორგის ჯვრით, დაფნის ფოთლით, დაჯილდოები შესახებ.

31 დეკემბერს 1918 წ.

№ 139

ვაცხადებ საყოფადღებოთ და სახელმძღვანელოთ განსაზღვრულ შემოს ფასებს ერთ-სამათ ნახერხს საყენისა ამაწლის სექტემბრის და მომავალ 1919 წ. იანვრის მესამედებისას იმ პუნქტებში, სადაც ბინადრობს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი თანახმათ თანდართულ ნუსხისა.

სამხედრო მინისტრის თანაშემწე.

გენერალ-მაიორი მდივანი

განსაზღვრული შემოსულობის ფასები ერთ-სამათ ნახევარ საყენისა ამა წლის მაისის, სექტემბრის და მომავალ 1919 წლის იანვრის მესამედებისა იმ პუნქტებში, სადაც ბინადრობს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი.

პუნქტების სახელები.	განსაზღვრული ფასები.		
	მაისისა 1918	სექტემბ. 1918	იანვრისა —1919
ქალაქ ტფილისში	230 მან.	365 მან.	400 მან.
მაზრაში . . . . .	141 ,,	187 ,,	200 ,,
დაბა მანგლისი . . . . .	108 ,,	150 ,,	200 ,,
„ ალ-ბულალში . . . . .	108 ,,	150 ,,	200 ,,
„ მუხროვანში . . . . .	108 ,,	150 ,,	200 ,,
„ გომბორში . . . . .	108 ,,	150 ,,	200 ,,
ქალაქ გორში . . . . .	198 ,,	260 ,,	350 ,,
„ სურამში . . . . .	113 ,,	165 ,,	300 ,,
„ ბორჯომში . . . . .	113 ,,	150 ,,	200 ,,
„ თელავში . . . . .	92 ,,	240 ,,	400 ,,
„ სიღნაღში . . . . .	144 ,,	260 ,,	450 ,,
დაბა ლაგოდენში . . . . .	66 ,,	120 ,,	200 ,,
„ დედოფლის წყაროში . . . . .	79 ,,	180 ,,	300 ,,
ქალაქ დუშეთში . . . . .	70 ,,	130 ,,	200 ,,
დაბა ანანაურში . . . . .	90 ,,	160 ,,	240 ,,
„ არქათაში . . . . .	90 ,,	160 ,,	240 ,,
ქალაქ ქუთაისში . . . . .	187 ,,	187 ,,	200 ,,
„ ოზურგეთში . . . . .	262 ,,	308 ,,	340 ,,
„ ნატანებში . . . . .	210 ,,	210 ,,	240 ,,
„ სოხუმში . . . . .	300 ,,	412 ,,	450 ,,

„ ლანჩხუთში . . . . .	187 ,,	187 ,,	215 ,,
„ სამტრედიაში . . . . .	202 ,,	210 ,,	215 ,,
„ ყვირილაში . . . . .	165 ,,	180 ,,	195 ,,
„ ახალ-სენაქში . . . . .	187 ,,	210 ,,	220 ,,
„ ზუგდიდში . . . . .	225 ,,	240 ,,	250 ,,
„ ოჩამჩირეში . . . . .	350 ,,	412 ,,	450 ,,
„ ფოთი . . . . .	210 ,,	210 ,,	250 ,,

სამხედრო მინისტრის თანაშემწე  
დენერალ-მაიორი მდივანი.

№ 140

25 დეკემბერი 1918 ქ. თბილისი

აუცილებელ საჭიროების გამო, შესდგეს ბორჩალოს და ახალციხის სამხედრო ბინათა დისტანციები, თანახმად ამასთანავე გამოცხადებულ დროებითი შტატებით.

შტატების შემსობას მოთხოვნილების დაგვარ, ვეალებ საბინაო სექციის უფროსს დაშვებულთ, საბინაო სექციის უფროსისგან. სამხედრო ბინათა დისტანციების უფროსებათ ახალციხის ჯარში მსახურს ინჟინერს იოსავას და ბორჩალოს ჯარში მსახურს ინჟინერს კოლლეჟსკი სოვეტნიკს ჩხეიძეს ვამტკიცებ მათ თანამდებობაზედ ამა 25 დეკემბრიდგან,

აღნიშნული დისტანციები ითვლებოდნენ წარსულნათ ფრონტზე 25 ამა დეკემბრიდგან.

დროებითი შტატები.


ბორჩალოს და ახალციხის სამხედრო ბინათა დისტანციებისა:

თანამდებობის სახელები	ხარისხთა რიცხვი		თვიური ჯამაგირი თითოზე.	შენიშვნა
	ბორჩალოს სამხედრო ბინათა დისტანცია	ახალციხის სამხედრო ბინათა დისტანცია.		
დისტანციის უფროსი ჯარში მსახური ინჟინერი	1	1	პოლკის უფროსისა ბატალიონ.	
მუშაობის მწარმოებელი ჯარში მსახური ინჟინერი	2	1	უფროსისა	
ტენიკოსი	3	3	უკრ. ოფიც. როტ. უფრ.	
საქიმის მწარმოებელი	1	1		
გამგე შემოსისა და მასალების საწყობებისა.	1	1		
მწერლები	3	3		
მხაზველნი	—	1		
მწყობლებნი	2	2		
საინჟინერო ზედამხედველნი	3	3		
წლიური ხელოსნები	3	5		
ყარაულები და გზირები	4	3		
კანცელიარიის ხარჯი თვითრათ	—	—	200 მან.	
<b>სამგზავროთ</b>				
მსუბუქი ავტომობილები	1	1		
შოფერები	1	1		
შოფერის თანაშემწე.	1	1		

შენიშვნა: 1. ყველა ხარისხოსნები იღებენ ამის გარდა დამატებით ჯამაგირებს და პაის, კანონით მიღებულს სემხედრო მსახურათთვის გაგზავნილებს ფრონტზე.  
2. თუ სახელმწიფო ავტომობილი არ ექნებათ მიცემული სამგზავროთ, თვეში მიეკეთ 300 მ. სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალ-მაიორი მდივანი.

შეიძლება ნებით დაჭირავენ ბუღალტრით შემოს. მინიჭ. ჯამაგ.

შეიძლება ნებით დაჭირავენ შემოსება შინიჭ. ჯამაგ.




# არა ოფიციალი განყოფილება

თბილისი 15 აინვარი.

მძი და ბორცოტი სელი, დაშნაკცაკანუ-  
შავი რი ვერბგი სრანვა, რომელიც მი-  
სართული იყო საქართველოს თავისუფლე-  
ის წინააღმდეგ, არსებითად უნაყოფო შეი-  
ნა. ჩვენს დასამხობათ წამოსულ მტერს  
ჩვენმა ჯარმა შესაფერი ზასუსი განსცა და  
უჩვენა მას თავისი უდრეგი ნება და მის-  
წრაფება. მან ვეკლას ცხადათ დაანახა: რომ  
იგი მხათა დაიცვას საქარმულოს დამოუ-  
იდებლობა, ქვეყნის თავისუფლება. ეს დაამ-  
ტვიცა კიდევ ჩვენმა სახელოვანმა, გმირმა  
ჯარმა.

საქართველოს თავისუფლება, სამშობ-  
ლოს კეთილდღეობა, მშობა! აი რა უწერია  
ჩვენს დროშასე საქართველოს ჯარს და რას  
იცავს იგი.

სომხეთთან ომი შესწება. მაგრამ მიუ-  
ხედავათ ამისა ჯარის ორგანიზაციის საქმის  
კიდევ უფრო გაძლიერებას და გამტკიცებას  
უნდა მიექცეს ჩვენი მთავარი ურადლება,  
რომ უყოფელთვის ზირველ დამახებისთანავე,  
რომელიც თავისუფლების დაცვას მოითხოვს,  
ჩვენი ჯარები, ჩვენი გმირები კვლავ გან-  
დენ თავის გამოცდილ სკლამდვანელთა დრო-  
შის ქვეშ და ვაჟკაცური ეიქინით კვლავ  
ბრძოლის პელისავენ' მამაცად გაემურონ სამ-  
შობლოს და მისი დამოუკიდებლობის დასა-  
ცავათ.



საერთაშორისო ომის კოცონი განელ-  
და. ახვირთებუდი-ამთავარებუდი ტაღლე-  
ბი კალანოტს ეძებს. ომისაგან აფორიაქე-  
ბული და აწიოკებული ცხოვრება დასვენებას  
და წონასწორობის დამყარებას მოითხოვს.  
ბრძოლის ველსე გადაუჭრელი, ხმლითა და  
სარბანხით გადაუწვევტელი საკითხები კუ-  
ლავ კითხვითი ნიშანის ქვეშ სდგას. მათ  
ემატება მრავალი სხვა საკითხი, რომლის  
გადაჭრა ქვეყნის მდგომარეობის მოწესრი-  
გებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ოთხი წლის მძიმე ბრძოლის  
რიბებიან ეოველ მსრიდან სხვა და სხვა ქვე-  
ნების წარმომადგენელი. იკრიბებიან, რომ  
მოაწესრიგონ მთელი მსოფლიოს ბუდი, რომ  
შექმნან ცხოვრების ნორმალური მიმდინა-  
რეობა. აქ დანისება და გადაიჭრება. ვეკლას  
ერის, ვეკლას ხალხის დამოუკიდებელი არსე-  
ბობის საკითხი. ვეკლას მიიჩქარის საქრთა-  
შორისო სასავო კონფერენციასე.

წავიდენ საქართველოს წარმომადგენლე-  
ბიც. ისინი იტყვიან იქ, რომ საქართველოს  
სურს დამოუკიდებელი თავისუფალი ცხოვ-  
რება, რომ საქართველოს თამამად შეუძლია  
„თავის თავს ეუდნოს“. რომ საქართველოს  
დამოუკიდებლობა და თავისუფლება მთელი  
ერის, მთელი ხალხის მტკიცე ნება-სურვი-  
ლია. რომ იგი მთელი რვა თვის განმავლო-  
ბაში თავისი უნართა და სისხლით იცავდა  
და ამტკიცებდა მას. რომ იგი დღესაც მხა-  
თა მტლათ დაედოს ქვეყნის ბედნიერებას.  
იტყვიან ამას საქართველოს წარმომადგენ-  
ლები და დაამტკიცებენ ამას მრავალი მჭერ-  
მეტყველური ფაქტებით.

და ჩვენ დრმათ გეწამს, რომ საერთა-  
შორისო სასავო კონგრესსე საქართველოს  
დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა  
გაიძლება და დადსტურდება.

ამ იმედით, ჩვენ აქ კვლავ უნდა გან-  
ვაგრძოთ ჩვენი გზა. საქართველოს დემოკ-  
რატიამ კვლავ უნდა ანმტკიცოს, ამავროს  
და მთელი ენერგიით ამენოს დამოუკიდებე-  
ლი ეროვნული სახელმწიფო—საქართველო.  
ეს საწინდარია მისი გამარჯვებისა.

## საქართველო-სომხეთის ომის შესახებ.

**შესავალი.** როდესაც ორ სახელმწიფოს შო-  
რის რაიმე სადავო კითხვა აღიძვრის, ისინი ჩვეუ-  
ლებრივ მოლაპარაკების ანუ ე. წ. დიპლომატიუ-  
რის გზით სცდილობენ მის გადაჭრას. თუ დიპლო-  
მატიამ ვერ მიაღწია მიზანს, მაშინ ერთმა მხარემ  
ძალით უნდა მოახვიოს თავის ნება მეორეს. სხვა  
გზა არ არის. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო  
უფლების ძალით, მხარეები სწყვეტენ ურთიერთ  
შორის დიპლომატიურ კავშირს, უცხადებენ ერთმა



ნერთს ომს და მხოლოდ შემდეგ იწყებენ სამხედრო მოქმედებას.

სულ სხვანაირათ მოიქცა არარატის რესპუბლიკის მთავრობა. მან არც უარი სთქვა მოლაპარაკებაზე, არც დასთანხმდა მას, არც დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა ჩვენთან, არც ომი გამოგვიცხადა, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, (თუ სწორეთ ამიტომ) ბრძოლა კი დაგვიწყო. Pos factum აღმოჩნდა, რომ მან საიდუმლოდ მოუყარა თავი საჭირო ძალებს, დაანაწილა ისინი საჭირო ადგილებზე, დააგროვა აქვე სურსათი, საომარი მასალა და წამოვიდა ჩვენზე იერიშით.

რაკი ომი ასე ვერაგულათ იყო დაწყებული, ჩვენ სრულიათ მოუმზადებელი შევხვდით მას. ჩვენ არც ჯარი გვყავდა საამისოთ დაგროვილი და არც საომარი მასალა. ამისდა მიხედვით ომის პირველი ხანა, თავდაცვის ხანა იყო ჩვენთვის.

**თავდაცვის ხანა.** როგორც ამბობენ, უკვე 9 დეკემბერს დაეტყო ჩვენს საზღვრებს მოუხვენრობა, მაგრამ ყველას ეგონა ყაჩაღურ ბრბოებთან ჰქონდა საქმე. მათთვის ის მცირე ძალებიც კმაროდნ რომელნიც ჩვენს საზღვრებს იცავდნ. არა ჩვეულებრივ ზომებს არავინ სთვლიდა საჭიროთ. მოპირდაპირეც განგებ ახვევდა ბურუსში თავის მოქმედებას. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აიხადა მან ნიღაბი. როცა მისი ჯარები ანაზღეულათ დაეცნ თავს სანაინის რაზმს და მოუჭრეს მას გზა.

ჩვენი ჯარი ისეთ პირობებში იყო, რომ თავის დაღწევა სასწაულით შეიძლებოდა მხოლოდ. სამი დღის განმავლობაში იგი ჩამწყვდეული იყო

ტიტველ კლდეებს შუა, რომელთა მალლობებმტერს ეჭირა. მიუხედავად ამისა მან გაარღვია მინტრის რკალი და გამოვიდა სამშვიდობოს. ყველ მიხვდებოდა, რომ უზიანოთ ვერ დააღწევდა იგი თავს ასეთ მდგომარეობას. სანაინის თავდასხმას მოჰყვნ თავდასხმანი ეკატერინენფელდის და ახალქალაქ რაიონებში. აქაც მოულოდნელნი და ვერაგულნი ციციშვილის პაწია რაზმს ჩაის დროს დაესხა თავი „გაბედული“ მტერი და დიდი ზიანი მიაყენა.

ამ გვართ ჩვენ საჭირო გაგვიხდა სამი ფროტის შექნა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამათგან სანაინის ფრონტი იყო.

თავდაღწეული რაზმები ლიანდაგის გაყოლი იხვედნ უკან მაშველი ჯარების მოლოდინში, წინამძღვრების გადაწყვეტილებისამებრ, მათ სადახლოში მოიმაგრეს ფეხი და დასკვნეს აქ გამკლავებდნ მტერს, თუმცა საამისოთ საჭირო რეზერვუჯერ კიდევ არ იყვნენ მოსულნი. სომხები კარგ გრ ნობდნ, როგორც ჩვენი ჯარის სისუსტეს თავის შედარებით სიძლიერეს და კვალ-და-კვალ მოსდევდნ ჩვენებს. 18 ქრისტეშობისთვის მათ სიძღეს ჩაეგდოთ სადახლო ხელში. ბურუსში გახველი, ერთი სომხური რაზმი მოუახლოვდა ჩვენს პოზიციებს და ძმობას ეფიცებოდა შორიდან ჩვენს ჯარს, რომ ახლოს მოსულიყო და უფრო კარგამოესვა მისთვის დანა ყელში. გამოცდილი წინამძღოლი არ მოსტყუვდა. გაიმართა ბრძოლა, რომელმაც 120 სომეხი იმსხვერპლა. ქართველებმა შეინარჩუნეს პოზიცია, მაგრამ დაჰკარგეს თავის გარე წინამძღოლი როტმისტრი დადიანი მერ

## საუბარი ჯარის-კაცთა

### V.

საქართველოს მოქალაქენო! ჩამოდექით, გზა უტოეთ, — ვერა ჰხედავთ: ჩვენი ჯარის-კაცი მოდის ქული მოვიხადოთ ყველამ, ვაშათი შევხვდეთ ის გამარჯვებული გვიბრუნდება.

როდესაც რომაელი ჯარის-კაცი მტრის წინააღმდეგ მიდიოდა, ის იტყოდა, თურმე: ან ფარით ხელში მოვალ, ან ფარზედო. პირველი ნიშნავდა გამარჯვებას, მეორე სიკვდილს.

რას ეუბნებოდა ამით რომაელი ჯარის-კაცი თავის სამშობლოს?

მტერს შევაკვდები და დამარცხებული კი არ მოვივალო.

ჩვენმა ჯარის-კაცმა სამშობლოსი და რევოლიუციის დროშები წაიმძღვანა წინ და სიტყვა მისცა სამშობლოს: ამ დროშებს გამარჯვებული დაგვიბრუნებო.

ჩვენმა ჯარის-კაცმა შეასრულა თავისი სიტყვა მან არ შეარცხვინა არც სამშობლოს დროშა, არც რევოლიუციის დროშა.

ჩვენმა ჯარის-კაცმა დაამტკიცა, რომ ის ჰეროიკი შეილია სამშობლოსი და ამავე დროს ის გნებული რევოლიუციონერია.

ვაშა, ჩვენო ჯარის-კაცი!

სამშობლოს დროშა და რევოლიუციის დროშა დღეიდნ შენს ხელში განუყრელი, განუშორებელი არიან.


სამშობლო და რევოლიუცია გაერთიანდა და გულსა და გონებაში.

და როდესაც შენ იცავ სამშობლოს, ამით იცავ რევოლიუციას.

არა გჯერა?

მაშ ყური დამიგდე.

რას წარმოადგენს დღეს ჩვენი სამშობლო დემოკრატიულ რესპუბლიკას.



დღეს. ე. ი. 19 დეკემბერს ჩვენს გვარდიასაც დაუდგა განცდის დღე სოფელ ეკატერინენფელდთან. მაგრამ მანაც ბრწყინვალეთ შეასრულა თავის მოვალეობა. მწვავე, ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მან შემუსრბ მოწინააღმდეგე და უკუაგდო იგი. საუბედუროთ გვარდიამაც დაკარგა თავის გმირი წინამძღოლი სანდრო მაისურაძე, მაგრამ მსხვერპლიათ 230 მოპირდაპირე გააყოლა მას.

ქართული ჯარი ჯერ კიდევ იმდენათ სუსტი იყო, რომ სრულიათ მოკლებული იყო, ფრონტის გაფართოების უნარს, სომხებს კი შეეძლოთ ეს რადგან ისინი ოთხჯერ-ხუთჯერ მეტნი იყვნენ. ფრონტის გაფართოებას გარშემორტყმა მოსდევს, თუ მოწინააღმდეგემ მითვე არ უპასუხა მტერს.

დეკემბრის 21 და 22 სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა. ზოგი ერთეული 4-5-ჯერ იგერიებს მრავალ კრიცხოვანი მტრის იერიშებს. მაგრამ სომხები სარკებლობენ რიცხვითი სიჭარბით და გარს ერტყმიან ჩვენ რაზმებს.

გარშემორტყმული ერთეულის ბედი, საერთოთ გადაწყვეტილია; იგი ან უნდა გასწყდეს ან ტყვეთ დაუვარდეს მტერს, მაგრამ სომხების სტრატეგიის შემდეგები“ ისევე არ სჭრის ქართველებზე, როგორც რუსებისა არ სჭრიდა გერმანელებზე. არაოთხ ქვეითი ჯარის ნაწილები, არტილერიაც კი უხერხებს (ცაგურიას და სხვ. მეთაურობით) მტრის რკალის გარღვევას და სამშვიდობოს გამოსვლას.

ჩვენ ჯარებს ხელახლა უხდებათ გენ. წულუკიძის წინამძღოლობით ლიანდაგის გასწრივ უკანგვა. მაგრამ სომხებს ყველგან დიდი ხნის მომზადებული აქვთ საქმე.

დებული აქვთ საქმე. ისინი ახალ სტრატეგიულ „შედევრს“ უმზადებენ ქართულ ჯარს. აჯანყებული შულავერი წინ ელობება ჩვენს ჯარს, ანგრევს აშალა-სერალთან ლიანდაგს, სწყვეტს მავთულებს და რკალში ამწყვედევს ისევ ჩვენს მებრძოლთ.

**იერიშის ხანა.\*** შულავერის გაწმენდა გენ. წულუკიძის რაზმის „მიღება“ ევალება გენ. სუმბათაშვილის რაზმს. 22 და 23 დეკემბერს ეს რაზმი მიდის იერიშით სომხებზე და ასუფთავებს მათგან რამოდენიმე მაღლობს. ამავე დღეს ხდება ერთი ღირს შესანიშნავი ცვლილება: ბრძოლის ველს ჩამოდიან ახალი მეთაურები, მთავარ სარდალი გენ. გ. ივ. მაზნეშვილი და შტაბის უფროსი გენერალი გიორგი კვინიტაძე. ისინი კარგათ იცნობენ ჩვენს ჯარსაც მის წინამძღვრებსაც სომხებსაც და თავის საქმესაც. ჯარიც კარგათ იცნობს მათ და სიხარულით ეგებება მათ დანიშნვას.

24 დეკემბერს დილით სუმბათაშვილის რაზმი აშალა-სერალიდან იღებს ე. წ. ფრონტალური იერიშით მაღლობ 246, 9 ს. რომელიც შულავერს დაჰყურებს, მაგრამ ჩვენი ძალა არაა საქმათ ძლიერი და ვერ იმაგრებს მას. კონტრ-იერიშით მაღლობი ისევ სომხების ხელში გადადის. მღვამარეობა მეტათ კრიტიკულია, რადგან რეზერვათ არც ერთი ჯარის კაცი არ გვყავს. სომხებს რომ ენერგიულათ განეგრძოთ იერიში, ხრამამდის გადმორეკდენ ჩვენს ჯარს, მაგრამ მათმა შტაბმა ვერ მოისაზრა ეს და მით დაამტკიცა თავისი უმწეობა. სამაგიეროთ ჩვენი სარდლები,—ჩვენი შტაბი იყო თავის ადგილას.

\*) ცნობები მოგვცა ჩვენი შტაბის უფროსმა გენ. კვინიტაძემ.

აქ დღეს მთელი ძალა და უფლება თვითონ ხალხის ხელშია.

და ეს განთავისუფლებული ხალხი ჰქმნის ახალს ვხოვრებას პარლამენტისა და სახალხო მთავრობის ემწეობით.

ასეთი რესპუბლიკა, ამგვარი წყობილება დამარდა ჩვენში რევოლიუციის წყალობით.

რევოლიუციამდე ძალა და უფლება იყო მენის, მისი მოხელეების და თავადების ხელში.

ესენი ყოველივეს აკეთებდენ თავის სასარგებლოთ და ხალხს არაფერს ეკითხებოდენ.

მიწა იყო მემამულეების ხელში და სოფლის პრომელი გლეხობა შიმშილსა და გაჭირვებაში ჯარებდა თავის ცხოვრებას.

მუშა ხალხი ეწეოდა შრომის მძიმე უღელს ყოველგვარ უფლებას მოკლებულიყო.

რა გვიანდერძა რევოლიუციამ? ყველა ამ უსამართლობის ძირიან-ფესვიანა ოფხვრვა.

რევოლიუციის მოხდენა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე რევოლიუციის ანდერძის განაღდება, მისი მიზანის განხორციელება.

და ეს ნათლათ დაამტკიცა რუსეთმა.

მოხდა დიდი რევოლიუცია. თითქოს ძველი ყოველივე დაინგრა, დაგვებადა ათასნაირი იმედები.

მაგრამ ახალი წყობილების ნაცვლათ ყველგან ძალმომრეობა, მუშტი, არევ-დარევა, სამოქალაქო ომი და დაუსრულებელი სისხლის ღვრვა გამეფდა.

ერთათ ერთი კუთხე საქართველოა, სადაც შეგნებული ხალხი და მთავრობა ახერხებენ რევოლიუციის ანდერძის შესრულებას.

წინეთ ჩვენში იყო წოდებები: თავადი, აზნაური და გლეხი.

დღეს კი სამახცხვენო დაყოფა ხალხისა ბრწყინვალეებათ და არა ბრიწყინვალეებათ, კეთილშობილებათ და არა კეთილშობილებათ ჩვენში მოისპო.

ჩვენში ყველა თანასწორია, ყველა ერთნაირი მოქალაქეა.





მიუხედავად იმისა, რომ მის ხელში შედარებით მცირე ძალები იყო, მან მაინც გადასწყვიტა გამოეგლიჯა სომხების ხელიდან ინიციატივა. ჩვენს შტაბს შეეძლო განეახლებია ფრონტალური იერიში ხსენებული მალლობის წინააღმდეგ, მაგრამ მან არ ისურვა ეს. ფრონტალური იერიში დიდ მსხვერპლს მოითხოვს. მან უმჯობესათ სცნო მოხერხებული მანევრის საშუალებით გამოედევნა მტერი პოზიციებიდან. ამ მიზნის მისაღწევ თ იგი ირჩევს ახალ სამოქმედო ასპარეზს, და გენერალ ჩხეტიანს ანდობს მას. რაზმმა დიდი კოშაკილისას და სარაჩლის მხრიდან უნდა მოეზაროს მტერს და დალიკ-ტაშით შეუტოს მას. 25 დეკემბერს რაზმი გროვდება დანიშნულ ადგილს და ეწყობა საიერიშოთ. 26 დეკემბერს იგი მიდის მტერზე იერიშით და იღებს კიდევ რამდენიმე მალლობს სარაჩლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ამავე დღეს ჩვენი გვარდია მწვავე ბრძოლის შემდეგ იღებს სოფელს დაგეტ-ხაჩინს. 27 და 28 მალლობები ხელიდან ხელში გადადიან. მტრის თვალის ასახვევით და იერიშის გასაადვილებლათ შტაბი სწყვეტს იერიში მიიტანოს იმ მთაზე, რომელიც მთავარ-მალლობის (246,9) სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ მთის ასაღებათ იგზავნება განსაკუთრებული რაზმი კაპ. უსტიაშვილის წინამძღოლობით, რაზმი იღებს მალლობს, მაგრამ სხვადა-სხვა მიზეზების გამო ფებს ვერ იკიდებს მასზე სამუდამოთ. არც სომხებს სძინავთ ამ დროს. ჩვენს შტაბს ცნობები მოსდის, რომ შულავერის რაზმი საათობით იზრდება. მზვერავები ადასტურებენ აქ მეოთხე, მეექვსე და ყაზახის პოლკების ნაწილებს.

წინეთ მიწა იყო მემამულეების ხელში, დღეს კი მიწა ჩამოართვა მთავრობამ მემამულეებს და გადასცემს ხალხს.

წინეთ სამუშაო დღე უდრიდა თორმეტ საათს თოთხმეტს და ზოგან მეტსაც. დღეს კი რვა საათის სამუშაო დღეა ჩვენში შამოღებული.

ჩვენში ხალხი სარგებლობს საყოველთაო არჩევნების უფლებით.

და რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალო; რევოლიუციამ ჩვენში გაიმარჯვა, რევოლიუციის საქმე ჩვენში დაავიწყდინა ხალხმა და მისმა მთავრობამ.

ამიტომ, ჩვენო ჯარის-კაცო, გწამდეს: როდესაც შენ იცავ სამშობლოს, შენ ამით იცავ რევოლიუციას.

შენ უფლება გაქვს, იამაყო შენი ხალხით, შენი მთავრობით,—ამათ შესძლეს ათასგვარი დაბრკოლების გადალახვა და ახალი ცხოვრების შექმნა.

შენ შეგიძლია იამაყო შენი სამშობლოთი,

მათ ემატებათ მოხალისეთა ასეულები და ათასი შეიარაღებული შულავერელი. ასე რომ შულავერის სომხური რაზმი დაბოლოს 4 ათას კაცს აღწევს. ამავე დროს სომხთა ნაწილები ჩნდებიან ბაბაქიარის ქედზე და იჭერენ აგრეთვე იუხარი—სერალის სტრატეგიულ პუნქტებს.

28 დეკემბერს ჩვენი შტაბი იმდენათ ხელსაწყოთ სცნობს საერთო მდგომარეობას, რომ სწყვეტს საერთო იერიში მიიტანოს მთელ ფრონტზე. ჯარი სამ ნაწილათ იყოფა, მარჯვენა ფრთათ, მარცხენა ფრთათ და ცენტრათ. ერთ ფრთას გენერალი ჩხეტიანი უფროსობს, მეორეს გენერალი წულუკიძე, ცენტრს გენერალი სუმბათაშვილი. გენ. ჩხეტიანის ფრთა? სარაჩლ ს მხრივ უნდა შეუტოს მტერს, გენ. წულუკიძისამ კი იუხარი-სერალისა. ცენტრის დანიშნულებაა ხელთ იგდოს შულავერის დამყურე მალლობი (246,9)

გენ. ჩხეტიანის ფრთა მედგარი შეტევის შემდეგ იჭერს ჯერ რამდენიმე მალლობს, შემდეგ 16 საათზე იგი სავსებით აღწევს დანიშნულ მიზანს და გარდა ამისა ართმევს მტერს ორ ზარბაზანს. ამავე დროს ცენტრიდან მეექვსე პოლკის ოთხი როტა პოლკოვნიკების კონჭოშვილისა და მაჭავარიანის მეთაურობით უვლის მთავარ მალლობს (246,9) და თავგანწი ული იერიში მიაქვს სომხებზე. მათ მხარს უჭერენ მოხალისე ოფიცერთა რაზმი და ლეგიონი. ქართველი ჯარის ვაჟკაციური გამბედაობა ამსხვრევს სომხთა წინააღმდეგობას. მთავარი მალლობი და მისი სამხრეთ მდებარე ადგილები ქართველეს უვარდებათ ხელთ.

რადგანაც მთელს რუსეთში ეს აღმოჩნდა რევოლიუციისათვის მომზადებული.

შენ კარგათ იცი, ჯარის-კაცო, რომ რევოლიუციის დაცვა არის ამავე დროს მშრომელი ხალხის დაცვა.

მშრომელი ხალხი, რომეოსაც შენ თვითონ ეკუთვნი, ჯერ კიდევ გუშინ ხელ-ფეხ შებორკილი მონა იყო.

დღეს მშრომელი ხალხია, დემოკრატია არის საკუთარი თავისა და ქვეყნის ბატონი.

შენ უნდა განამტკიცო ეს ბატონობა და დაიფარო ხალხის უზენაესი უფლებანი გარეშე მტრისაგან.

უდიდესი განსაცდელის დროს, როდესაც თავხედი მტერი ჩვენი თავისუფლების და დამხობას ეპირებოდა, საქართველოს მშრომელმა ხალხმა გიხმო შენ, ჩაგაბარა თავისუფლების დროშა და მოგმართა:

სამშობლო განსაცდელშია, ის შენსაგან შეე



დღით 29 დეკემბერს გენერალ ჩხეტიანის და გენ. სუმბათაშვილის ნაწილები უკვე შევლენ შულავერში, აქ ისინი ბლომათ ჰპოებენ ყოველგვარ მასალას და მოძრავ სამხარეულოებს.

საინტერესოა აღვნიშნათ შეკდეგი: სომხები იმდენათ მარჯვეთა გრძობდენ თავს შულავერში, რომ სამი საათის წინ მისი დაცლისა, მათ 1500 ყუმბარა შეაქვთ მასში.

გენერალ წულუკიძის სექტორზე ერთმა ესკადრონმა, რომელიც ქვეითა და ცხენოსანთაგან შესდგებოდა იერიში მიიტანა 29 დეკემბერს დღით იუზარი-სერალზე. ჩვენი შტაბის უფროსმა გენ. კვინიტაძემ „შესანიშნავი იერიში“ უწოდა ამ იერიშს, ჩვენს რაზმს ერთი თოჯაჯ არ დაუტოლა, ისე მიაწყდა მტრის პოზიციას, რომელსაც ერთი ბატალიონი იცავდა ორის ზარბაზნით. მან ასამდე მოპირდაპირე ააგო ხიშტებზე, თვით კი ერთათ ერთი კაცი დაჰკარგა. რაზმა ხელთ იგდო 2 ზარბაზანი და ორი ტყვიის მფრქვეველი. იერიში იმდენათ სწრაფი იყო, რომ სომხის არტილერიამ სამი ყუმბარის მეტი ვერ მოასწრო გაესროლა.

ჩხეტიანისა და სუმბათაშვილის რაზმები უკვე 29 დეკემბერს შეუდგნენ მტრის დევნას. 30 და 31 სხვა ნაწილები შეუერთდნენ მათ. სომხები თვალსაჩინო წინააღმდეგობას ვეღარ უწყევნენ მათ. ობრეტში მათ თუმცა სცადეს წინააღმდეგობა, მაგრამ ორი ტყვიის მფრქვეველი დაჰკარგეს და უკუ იქცნენ. ჩვენი ჯარები იჭრენ ხობეორნს, გიულბაღის, ვალადაძორს, სადახლოს, მაღლობს 2072-ს, ლომბაღის და ბაბაქიარის ქედს. ამასობაში სომხები იკრებენ ახალ ძალებს და 31 დეკემბერს სცდიან დაიბრუნონ ბაბაქიარი და ლიშბალი, მაგრამ ცდა ამაოთ რჩება. ჩვენს ძლევამოსილ ჯარს ვე-

ლას ითხოვს. აწი შენ იცოდე და შენმა სინიღისმა, შენმა ვაჟკაცობამო.

შენ დაამტკიცე, ჩვენო ჯარის-კაცო, რომ ჩვენი ხალხი და ჩვენი მთავრობა არ მოსტყუვდა, როდესაც სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა შენ მოგანდო, შენ ჩავაბარა.

ვაჟკაცის გამომჩენელიც მტერთან გულდაგულ ომი.

ქვეყანამ უკვე იცის შენი ვაჟკაცობის ამბავი და მტერს დიდხანს არ დაავიწყდება შენი რისხვა.

ქურდულათ შემოპარულ მტერს შენ რაინდულათ დაუხვდი წინ და დაუმტკიცე, თუ რა არის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის-კაცი, როდესაც ის სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავათ იბრძვის.

შენი გმირობა, შენი რაინდობა. შენი თავგანწირვა ამიერიდან ოქროს ასოებით იქნება ჩაწერილი ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში.

ლარაფერი აკავებს. იგი სწრაფათ მიერეკება სომხის ჯარს წინ. მის სელას ზღვარი არ უჩანს. ადროს უსწრებს სწორეთ მას ბრძანება ბრძოლი შეწყვეტის შესახებ. მძიმე გასაგონი იყო ჯარისთვის ეს ბრძანება, მაგრამ ყველას კარგათ ესმის, რომ იგი ანაზღუდულათ არ წარმოსცდენია ჩვენ მთავრობას, რომ იგი აუცილებელი გახდა მისთვის, რომ სტრატეგიას პოლიტიკა უნდა ხელმძღვანელობდეს, და ჩვენი სანიშნავი ჯარი თავდაპირილათ იღებს მას.

**დასკვნა:** შულავერის ბრძოლა ე.წ. Feldschlacht-ი იყო. ბრძოლის ველი 10 ვერსზე იყო გაჭიმული. ჯარების რაოდენობის შესახებ დაწვრილებით ვერაფერს ვიტყვი. ის კი შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მასში იმდენი მეომარი იღებდა მონაწილეობას, რამდენიც ალამაჰმადხანის ჯარში მოიპოებოდა. ამ „გაშლილ ბრძოლაში“ ჩვენმა ჯარმა და სარდლებმა დაამტკიცეს, რომ ისინი გაცილებით მაღლა სდგანან მოპირდაპირეებზე. სხვა რამ არაფერი მოგვეგო ესეც საქმა იყო ჩვენთვის. მაგრამ ნურავინ დაივიწყებს, რომ შულავერის ბრძოლა თუ არ აღემატება არ დაუვარდება მნიშვნელობით კრწანისის ბრძოლას. ქართული მხედრობა ორივეგან თავის ერის მოჩაველს იცავდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამარჯვებულ ალამაჰმადხანზე უფრო საშიშარნი საქართველოსათვის გამარჯვებული დაშნაკაკანები იყვნენ. მაგრამ ჩვენმა ჯარმა გადაუმტვრია მათ ხერხემალი. უკუაგდო საზღვრებისკენ, დაიხსნა სამშობლო განსაცდელისაგან.

ა. ს.

შენ თამამათ შეგიძლია ამაყათ წარსდგე სამშობლოს წინაშე და უთხრა:

გაზდის და კიდევ მშობელი ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?!

სამშობლოსათვის სიცოცხლეს ისე ვწვავთ, როგორც ჩალასა.

დაე, იცოდენ ჩვენის რესპუბლიკის ყველა მტრებმა, რომ ღირსეულ პასუხს მიიღებს შენგან ყველა თავხელი, ვინც კი გაჰხედავს და განიზრახავს ჩვენი სამშობლოს გადმოლახვას და ჩვენი თავისუფლების შებღალვას.

ჯარის-კაცო, მაღლიერი სამშობლო სალამს გიძღვნის.

ვაშა რესპუბლიკის ჯარის-კაცს!  
გაუმარჯოს რესპუბლიკის ჯარს!

ივ. გომართელი.



გენერალი მაგნაჟილი.



გენერალი კვინიტაძე.

### საკულისანტი

არავისთვის არაა უცხო ეს სახელი, ყველა იცნობს მას. ყველას ჰქონია მის მატარებელ პიროვნებასთან საქმე. მაგრამ არიან ახალი ტიპის სპეკულიანტები, რომლებთანაც ჩვენს საზოგადოებას არ ჰქონია დღემდის შეხება. ესენი არიან დაშნაკაცანები, რომლებმაც არარატის რესპუბლიკა ჩვენთან ომში ჩაითრია და რომლებიც ამ ომში დამარცხდნ. ისინი საკუთარი ერის ტანჯვა-ვაებით სპეკულიანტობენ, ვაჭრობენ.

მათი მოქმედების შედეგია ის, რაც მოხდა ჩვენსა და სომხეთის შორის.

სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ სომხის ნაციონალისტებისათვის არაა ახალი ეს საქმე. რას უწოდებთ თქვენ 1897 წელს სტამბოლში მომხდარ შეთქმულებას? განა ეს სისხლის სპეკულაცია არ იყო; განა შეთქმულთა წრემ არ იცოდა, რომ ვერ ჩაიდებდა სტამბოლს ხელში; განა მან არ იცოდა, რა საშინელი რეპრესიები მოჰყვებოდა მას ისმაილების მხრივ? იცოდა! მაგრამ მას სურდა ტრადიკულათ გაეშვირა ხელი დანთხეული სისხლისაკენ და ეთქვა ევროპისათვის: მოგხვედეთ, ხომ ხედავთ რას გვიშვრებიან ოსმალებიო.

განა დაშნაკელების „ჰეროსმა“ ანდრანიკმა არ იცოდა რომ რამდენიმე ასი კაციით ოსმალებში შექრა სომხეთის აწიოკებითვე გათავდებოდა? იცოდა მაგრამ ისიც სპეკულიანტობდა.

განა დაშნაკელებმა არ იცოდნენ, რომ არც ერთი სახელმწიფო და მით უფრო ოსმალეთი, არ მოიჭირვებდა მტრულ მოქმედებას ფრონტის უკან? იცოდნენ მაგრამ მაინც ვაჭრობდნ.

გუშინდელი ომიც უდიდესი სპეკულიაცია იყო დაშნაკელების მიერ ჩადენილი. მათ კარგათ იციან, რომ სომხის ერს ჯერ ის წყლულებიც არ დაშუშებია, რომელნიც სხვა მეზობლებთან ბრძილამ დაუტოვა მას, მათ იციან რა საფრთხილოა მუ-

სულმანთა შორის გაფანტული ერისათვის ახალი, ძალათ გამოძებნილი მტრის წინააღმდეგ მახვილის ტრიალი. ისიც იციან მათ, რომ როდესაც ომის ფურია გაშლის ფრთებს, სახელმწიფოში ისეთი ძალები ამოძრავდებიან, რომელთა წინააღმდეგ იგი ვეღარას ხდება. იციან, მაგრამ არა თუ არ უფრთხიან ამ შესაძლებლობას, პირიქით მასზე აშენებენ თავის ანკარიშებს. მაგრამ მათ ბოროტ-განზრახულებას, მადლობა ღმერთს ფრთა შეეჭრა. ქართველმა დემოკრატამ კარგათ იცოდა და იცის სად ითვლება მარჯვეთ ხმლის მიქნევა სათნოებათ და სად ბოროტებათ. მას ვერავინ დასწამებს აგრესიულ ნაბიჯებს საგარეო პოლიტიკაში. პირიქით იგი ყოველნაირათ ძმობას უმტკიცებდა სომხეთს მაშინ, როდესაც დაშნაკუთუნს თურმე ქურდულათ მზათ ქონდა მახვილი მის დასაცემად.

საქართველო ის ისტორიული თავშესაფარია, სადაც შედით და მტრის ხელით დევნილი სომხის ერის ნაწილებიდან ჰპოვებდნ ხოლომე მოსვენებულ ადგილს ეს ასეა ახლაც. ამას მხოლოთ გულღვარძლიანობა უარყოფს. ეს უნდა ახსოვდესთ მუდამ პოლიტიკურ სპეკულიანტებს—დაშნაკუთუნებს....

### ჯარში მეყადინეთის შესახებ. \*)

#### 4. ომის გამოცდილებისათვის მეყადინეობა.

ზემოთ აღნიშნულ საშვალებათა განხორციელებით ჩვენ საფუძვლიანათ გავივლით ყველა ცნობას და მოვიგებთ კიდევ საჭირო დროს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისათვის რაც ასე საჭიროა დღეს. ამას გარდა, ჩვენ შესაძლებლობას მივიღებთ ზამთრობიც კი ვაწარმოოთ ჯარის სამხედრო მომზადება და ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ კარგი ჰავათი. ბოლოს, მოგებული დროის ნაწილი უნდა მოვახმაროთ ჯარის ტექნიკურ მომზადებას, რის აუცილებლობაც თანამედროვე ომში აშკარათ გამოჩნდა. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალ ომებში

\*) იხ. „რ. ჯარი“.



ისე როგორც თანამედროვე ომში, გადამწყვეტ როლს არ ითამაშებს ტენიკა.

რასაკვირველია, ეს ეხება არა ახალთაგანვეულებს და პოლკის სპეციალურ ნაწილებს, სადაც მაცადინებობა განსაკუთრებული პროგრამით უნდა სწარმოებდეს, რომ გავლილი იქნას მთელი საჯარო კურსი.

მაგრამ მაინც საზამთრო ზეპირი და ტაქტიკური სამწყობრო ნაწილების მაცადინებობის დროს შესაძლებელია ჩაებას მასში პოლკის ყველა ნაწილი. მაცადინებობა მოხდება კვირაში ერთჯერ, ორჯერ; სატყეისმტყორცნელო, სასაპიორო და სამხვერავო ნაწილები უნდა ვარჯიშობდნენ თავის სპეციალობაში და სამოსწავლო ნაწილი კი შეიძლება უერთდებოდეს თავის ნაწილებს. სროლაში ზოგიერთი ვარჯიშობა შეიძლება ხდებოდეს ზამთრობითაც. ამ ომში ძველნამსახურ ჯარის კაცებთან მშვენივრათ სწარმოებდა მაცადინებობა ორ უმთავრეს საქმეში—სროლაში და ნაწილთა ტაქტიკურ მომზადებაში, თითქმის ყოველდღე ამავ დროს ყურადღება ექცეოდა ღამე მოქმედებას, რომელიც უნდა წარმოებულყო კვირაში ერთჯერ და მეტჯერაც. ტაქტიკური მცადინებობა, ვინაიდან ომს პოზიციური ხასიათი ქონდა, წარმოებდა არა მარტო ველზე, არამედ განსაზღვრულ ქალაქებშიც, რომელნიც გამაგრებულ პოზიციების ნაწილს წარმოადგენდა; ჯარს ასწავლიდნენ იერიშების მიტანას და ამ ნაწილის დაცვას. ტაქტიკური მცადინებობა გრძელდება არა ნაკლებ სამი საათისა და სასროლო საქმე კი არა ნაკლებ ერთი საათისა. ამ დროის აღნიშვნაში არ შედის საკურსო სროლის მოხდენის ცალკე დრო რიგ-რიგობით ასეულებისათვის,

აუცილებელ საჭირო მცადინებობათ ითვლება აგრეთვე ხიშტის და ხელით სასროლი ყუმბარების ხმარება, რასაც ხმარდებოდა თვითეულ ნაწილში ნახევარი საათიდან ერთი საათი.

აღნიშნულ მაცადინებობის გარდა ბრძოლის ასპარეზზე ჯარის-კაცებს ასწავლიდნენ: თვალთ მანძილის გაზომვას, სატყეისმტყორცნელო საქმის შესწავლას და სასანგრო იარაღის მოქმედებას (ყუმბარათმსროლელი, ნაღმსროლელი), გახსაწინააღმდეგო ნიღბების ხმარებას, სირბილს, ვარჯიშობას, ბაირადებით, ფანარებით, ფერადი მახალავებით სიგნალიზაციას და საერთოდ გამაგრებულ პოზიციასზე ყოველგვარ სავალდებულო სამსახურის ასრულებას, და იარაღის წმენდას, რადგან იგი ძლიერ ფუჭდებოდა ომის დროს.

ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობიანობის დროს ჯარს უნდა ასწავლო ის, რაც მას ომის დროს მოეთხოვება, ამიტომაც ომის გამოცდილებისათვის მაცადინებობა გრძელდება ომის დროსაც. ცხადია, ომის ასპარეზზე ამისათვის ცოტა დროა და მეთოდური მაცადინებობა შეუძლებელია, მაგრამ იქ გამოჩნდება, თუ უმთავრესათ რას უნდა მიექცეს ყურადღება.

ომის გაკვეთილი ალბათ გავლენას მოახდენდა მშვიდობიანობის დროს ჯარში მაცადინებობის მოწყობის საქმეს უკეთეს ტაქტიკურ და ტენიკურ მომზადების მოთხზილებაში.

ამ წერილში აღნიშნული ვერ ამოსწურავს ჯარში მცადინებობის საკითხს სავსებით, მაგრამ რადგან საკითხი მწვავეთ ხდვას და უუსაპიროესია, ატორს მიზნათ აქვს ამ საკითხის შესახებ ჩვენს ჟურნალში აზრთა გაცვლა გამოცვლა გამოიწვიოს, ამ კითხვის და მართებული გადაჭრაზე დამოკიდებული მთელი საქმის წარმატება ძვირი ფასიან ჯარისა, რომელიც მოწვეულია უზრუნველყოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ქართველი ხალხის თავისუფლება.

### საქართველოს სამხედრო ისტორიიდან

(ბ. ი. გვედევანიშვილის წიგნიდან „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“) \*

ჩრდილოეთით მოსაზღვრე კავკასიის მთების დასავლეთ ნაწილს შეადგენდნენ მთანი აფხაზეთისანი. კავკასიის მთების მთავარ ქედს ბევრი შტოები გამოდის და მათ შორის ჩვენთვის აღსანიშნავია: 1) ლიხის მთა, რომელიც დაახლოვებით მდ. ყვირილის სათავედან იწყება და მიდის სამხრეთ-დასავლეთისაკენ, თითქმის ბორჯომის ხეობამდე; აქედან მიტრიალდება უფრო დასავლეთით და აქ მის გაგრძელებას ეწოდება მთა ლადოსი (ზოგიერთ ენლანდელ რუქაზე ახალციხის მთებს უწოდებენ), შემდეგ ეს შტო პირდაპირ დასავლეთისაკენ წავა და ასე თითქმის ზღვის პირას აღწევს. ამ ნაწილს უწოდებენ აჭარის მთებს. 2) მთა არსიანისა, რომელიც იწყება იქ სადაც ლადოსი და აჭარის მთები ერთდებიან და მიდის პირდაპირ სამხრეთისაკენ თითქმის არტანუჯის და არტაანის შუა მდებარე ადგილამდე; და 3) მთანი კახეთისანი, რომელიც იწყებიან ზემო არაგვის მარცხენა ნაპირით, ჯერ მიდიან სამხრეთით გომბორამდე და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ აქვთ მიმართულება. შემდეგ აღსანიშნავია, სომხეთის მთა, იწყება ფარანის ტბასთან ახლოს, მიდის ჯერ სამხრეთით და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიტრიალდება.

დასახელებული მთები სტრატეგიის მიხედვით მთელ საქართველოს ტერიტორიას სამს მთავარ ნაწილათ ჰყოფენ: დასავლეთი ნაწილი—ზღვის პირით დაწყებული აღმოსავლეთით ლიხისა და არსიანის მთებიდან დაწყებული კახეთის და სომხეთის მთებამდე და აღმოსავლეთი ნაწილი კახეთი

ე. ი. ივრის და ალაზნის ველები. სტრატეგიის მხრით ეს ნაწილები სხვა და სხვა ღირსების და მნიშვნელობისანი არიან.—განვიხილოთ ყველა მათგანი ცალცაკე. დასავლეთი ნაწილი ანუ ასპარეზი ჩრდილოეთით ისაზღვრება აფხაზეთის და სვანეთის მთებით, აღმოსავლეთით ლიხისა და არსიანის მთებით, სამხრეთით მთა კოლასი და ორჯონის მთა; დასავლეთით ზღვის პირი. დასახელებულ საზღვართა შიგნით მდებარედნენ შემდეგი მხარენი, ჩრდილოეთით მოყოლებული სამხრეთისაკენ: აფხაზეთს და სვანეთს მოსდევდნენ ეგრისი (სამეგრელო), ქუთაისი და რაჭა-ლეჩხუმი, შემდეგ გურია, რომლის სამხრეთ საზღვრათ აჭარის მთები იყო, შემდეგ აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი და მერე ტაო ბასიანი. დასავლეთი ასპარეზი აღმოსავლეთ დასავლეთ

\* იხ. „რესპუბლიკის ჯარი“ № 6.



იყოფებოდა მთებით. გარდა აჭარის მთე-  
 ასეთივე მიმართულებისანი არიან შავშეთის  
 ლარჯეთის მთანი. ასე რომ ასპარეზი სამი  
 თითქმის შემოზღუდულია მთებით და გარ-  
 ამისა სამ ალაგას გადაჭრილია აგრეთვე  
 მთ. მეტად ხელსაყრელია ტოპოგრა-  
 ფიკული ტერიტორიის დაცვისათვის. სამხრეთიდან  
 ნი ტაოთი წამოსულ ჯარს წინ ეღობება ჯერ  
 ლარჯეთის მთები, შემდეგ შავშეთისა და მერმე  
 ასა. აღმოსავლეთიდან წამოსული ჯარი მიაწ-  
 ან ლიხის და ან არსიანის მთებს; ჩრდი-  
 თით ხომ ეს ასპარეზი თითქმის მიუვალა.  
 ცვეთ ამგვარ მდებარეობას მკითხველის ყურა-  
 ას. ამ გვარი ტოპოგრაფიის წყალობით, მა-  
 თად აფხაზეთი ევროსითურთ შედარებით სა-  
 ველოს სხვა კუთხეებთან, ბევრით უკედ იყო  
 რული და მტრის შემოსევისაგან ცოტად თუ  
 ად უზრუნველყოფილი. ამ გარემოებით აიხსნე-  
 რომ სწორედ აფხაზეთში დაიბადა პირველად  
 განცალკევებულ და დანაწილებულ საქართვე-  
 გაერთიანებისა. აფხაზეთი მტრის დარბევისა-  
 უფრო იყო რჩენილი და შენახული და თვით  
 თველოს მეფეები არა ერთხელ გაჭირების  
 აქა ჰპოვებდნენ საფარს. აფხაზეთის მეფეები  
 ად არ იყვნენ მტრისაგან დაჩაგრული და სა-  
 რკვეთილნი და სწორედ მათ უნდა გამოეჩი-  
 ნიციკატივა დიდს საისტორიო საქმეში, სა-  
 ველოს გაერთიანებაში. გარდა მთებისა, მდი-  
 ა მიმართულებაც ხელს უწყობდა ამ ასპარე-  
 დაცვას. აჭარის მთების გასწვრივ ჩრდილოე-  
 დის რიონი, იმავე მთების გასწვრივ სამხრე-  
 დის აჭარის წყალი; შავშეთის და კლარჯე-  
 თათა შუა დის იმერხევი; ქვემო ჭოროხი  
 ეს სამხრეთ-დასავლეთის მხრით. ამ რიგად  
 ეზი თვით ბუნებით კარგად არის გამაგრებუ-  
 ა სამხრეთიდან წამოსულ მტერს დიდს წი-  
 დეგობას გაუწევს. ამით აიხსნება, რომ ბა-  
 ზათი შემოსეული მტერი საქართველოსკენ  
 მჭრებისათვის არტანუჯი მიმავალ გზებს ირჩე-  
 დასავლეთ ასპარეზს აღმოსავლეთით უფლი-  
 აღმოსავლეთის მხრით ამ ასპარეზში შესევა ან  
 ნის ან და სამცხის მხრით შეიძლებოდა.  
 ლ შემთხვევაში მტერს არსიანის მთა უნდა  
 ნ-არტანუჯის გზით (ანაკერტის გადასავალი,  
 დელი იალაგიუჭამის გადასავალი). სწორედ  
 ი მაგარი ციხე ანაკერტი. მეორე შემთხვევა-  
 ალციხიდან შეიძლებოდა შესევა აჭარაში,  
 ისაც აგრედვე არსიანის მთები უნდა გადაე-  
 გოდერძის გადასავალით. აქ ციხე გოდერძი  
 შენებული. და ახალციხიდანვე შეიძლებოდა

ქუთაისისაკენ გალაშქრება, რისთვისაც ლაღოს  
 მთის გადალახვა იყო საჭირო (ზეკარის გადასავა-  
 ლი). აქ აშენებული იყო მაგარი და ძლიერი ციხე  
 ოძრახე (აბასთუმანი). ყურადღების ღირსია ამ ორი  
 ციხისათვის ადგილების არჩევა. ციხე ოძრახე ჰფა-  
 რავდა ლაღოს მთის გადასავალს და ამასთანავე  
 ჰკეტავდა მდ. კერშევეტის ველის შესავალს, ეს  
 მდინარე კი შემდინარეა ხონის წყლისა. მაშასადამე  
 ეს ციხე ჰფარავდა რიონის ველში, ქუთაისთან ჩა-  
 მავალ გზას. შემოვლა და აცდენა ამ ციხისა შე-  
 უძლებელი იყო. მას ორივე მხრით მაღალი მთები  
 და ხეხები არტყია და ქუთაისისაკენ წამოსული  
 მტერი უსათუოდ ამ ციხეს უნდა მისდგომოდა.  
 ამ გვარივე მნიშვნელობა ჰქონდა გოდერძის ცი-  
 ხეს, იგი არსიანის მთაზე გადასავალის დაფარვის  
 გარდა ჰკეტავდა აგრეთვე აჭარის წყლის ხეობას  
 და ამ ხეობით როგორც აჭარაში აგრეთვე, შემ-  
 დეგ ჭოროხის ხეობით, შავშეთ-კლარჯეთშიაც შე-  
 იძლებოდა შესევა. გოდერძის ციხის აცდენა და  
 შემოვლაც შეუძლებელი იყო, ერთის მხრით აყუ-  
 დებულია ნაომარის და მეორეს მხრით თლილოს  
 მთები. მათი სიმაღლე თითქმის 800 ფუტს უდ-  
 რის.

აღსანიშნავია სამხრეთით არტანუჯის ციხე, ეს  
 კარი საქართველოსი. არტანუჯით მოდიოდა დი-  
 დი გზა „გზა ქართლისა“. ამ გზით მომავალი ჯერ  
 კლარჯეთს შევიდოდა და შემდეგ „არსიანის კარით“  
 ან სამცხეში ან და ჯავახეთში და აქედან კი ქარ-  
 თლში. გარდა ამისა არტანუჯი ჰკეტავდა ჭოროხის  
 ველში ჩასავალ გზას. არტანუჯის სამხრეთით აგე-  
 ბული იყო ჭოროხის ველში ციხე თუხარისი (იშ-  
 ხანის მახლობლად). ამ ციხის ახლოს ერთდებოდ-  
 ნენ ტრაპეზუნთიდან, არზრუმიდან და ხოროსნი-  
 დან მომავალი გზები. აქვე ახლოს ჭოროხს უერთ-  
 დება ოლთისის წყალი და თავისთავად ცხადია,  
 რა მნიშვნელობა ჰქონდა თუხარისის ციხეს.

ასეთი იყო დასავლეთის ასპარეზი. სულ სხვას  
 წარმოადგენდა შუა-გული ნაწილი, ცენტრალური  
 ასპარეზი: იგი ჩრდილოეთით დაფარულია აგრეთ-  
 ვე კავკასიის მთებით. მაგრამ სწორედ აქ არის სა-  
 უკეთესო გზა კავკასიის მთების გასავალი. რო-  
 გორც ნათქვამი გვქონდა, იმ დროს ჩრდილოეთის  
 საზღვარს იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ჩრდი-  
 ლო-აღმოსავლეთით ამ ასპარეზს კახეთის მთები  
 საზღვრავდნენ და აღმოსავლეთით მდ. მტკვრის ნა-  
 წილი და შემდეგ მტკვრის შემდინარე ბერდუჯი  
 (ახლანდელი დებედღაი): სამხრეთით მთანი სომხი-  
 თისანი, ქ. ანისი და კარის მიდამოები და შემ-  
 დეგ მთა-კოლასი. დასავლეთით—ლიხის, ლაღოს  
 და არსიანის მთები. ამრიგად მხოლოდ ჩრდილო-



ეთით და დასავლეთით ჰქონდა საკმაო საფარი, მა-  
 ლალი, ძნელად გასავალი მთები და ეს მთები მას  
 საზღვრადნენ თავისივე სამეფოს ნაწილებისაგან  
 და სწორედ იქ, სადაც ძლიერი საფარი იყო საჭი-  
 რო, ე. ი. აღმოსავლეთით და სამხრეთით, იქ ჩვენ  
 ასეთ ზღუდეებს არა ვხედავთ, საიდანაც ყოველთ-  
 ვის შაში იყო; ბევრი კარები, ადვილად შესავალი  
 ჰქონდა ასპარეზს. საუბედუროდ, მთავარ ქედებისა  
 და მდინარეების მიმართულებაც უჩნელებდა ტერი-  
 ტორიას დაცვას და მტერს შემოსევას უადვილებ-  
 და. ამ მთავარ ქედებს მიმართულება უმთავრესად  
 ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ აქვთ. არსიანის მთა  
 და მისი გაგრძელება მთა—კოლასი, სოღანლულის  
 მთა, სომხეთის მთების ნაწილი, ფარავნის ტბის  
 აღმოსავლეთით („მოკრია გორი“) და სწორედ ამ  
 მთათა შუა მოდიან საუკეთესო გზები ჩრდილო-და-  
 სავლეთის ან და ჩრდილოეთისაკენ, მდინარეებსაც  
 აგრეთვე იგივე მიმართულება აქვთ: მტკვარი თი-  
 თქმის ტასისკარამდე (ქვიშხეთის მახლობლად), საერ-  
 თოდ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დის; ასეთივე მი-  
 მართულება აქვთ უმეტეს ნაწილად მის შემდინა-  
 რებს. მხოლოდ თვით მტკვარი ტასისკარიდან დაწ-  
 ყბული მცხეთამდე დასავლეთიდან აღმოსავლეთი-  
 საკენ დის და ტფილისის მახლობლად კიდევ ასე-  
 თი მიმართულება მის ორს შემდინარეს ალგეთის  
 წყალს და ქციას (ხრამი) აქვთ. რახსი (არაქსი) ეჩ-  
 შიძინიდან დაწყებული ნახჭევამდე სამხრეთ-აღმო-  
 სავლეთისაკენ დის ისე, რომ მისი ხეობით ადვი-  
 ლად შეიძლებოდა შემოსევა ანისისაკენ საქართვე-  
 ლოს ტერიტორიაში. მართალია აქაც არის ორი  
 ქედი, რომელთაც მიმართულება აღმოსავლეთ-და-  
 სავლეთისაკენ აქვთ: თრიალეთის მთა და სომხი-  
 თის მთების სამხრეთის ნაწილი, მაგრამ ამას მნიშ-  
 ვნელობა ეკარგება, რადგანაც თრიალეთის მთა და  
 მისი ნაწილი არჯაევანის მთა მდ. მტკვრის ნაპირის  
 ახლოს მდებარეობენ და ტფილისისაკენ წამოსული  
 ჯარი ადვილად მიუვლის მათ სამხრეთით. აგრეთვე  
 ადვილად მოუვლის დასავლეთით სომხეთის მთებს.

ი. გედევანიშვილი

სარდლის თვისებანი.

არავისთვის საეჭვო არ არის რომ ომის  
 დროს სარდალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.  
 უმთავრესი მიზანია ბრძოლის მოგება რაც შეიძლე-  
 ბა ნაკლები მსხვერპლით. ცხადია რომ ჯარის მომ-  
 ზადებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა  
 გენიოსი იყოს სარდალი, რაც უნდა გმირი იყოს,  
 თუ მოუმზადებელი ჯარი ეყოლა საეჭვოა მისი  
 გამარჯვება. მაგრამ ასევე იქნება თუ მომზადებულ  
 ჯარს სათავეში უხასიათო და მშიშარა სარდალი

ეყოლება. სარდალი ანგარიშს უნდა უწე  
 გორც მოწინააღმდეგის, ისე თავისი ჯარ  
 კვეთებას, უნდა ჰქონდეს უნარი საკუთ  
 ციატივისა და თან საკმაო გამბედაობაც  
 კენელი ხშირად დიდ როლს თამაშობს.  
 მტკიცე ხასიათი, დაბეჯითებით წინ სვლა  
 მიზნისკენ და სითამამე დიდად მოქმედებს  
 ქვეითზე რაც უნდა მამაცი იყოს პირა  
 დალი თუ არა აქვს ინიციატივის უნარი,  
 ბა დიდი შეცდომა დაუშვას მაგრამ ი  
 დალის ინიციატივის. მქონის ხელმძღვა  
 დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლია  
 იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ  
 უნდა იყოს ერთ და იმავე დროს მტკიცე  
 შორს გამჭვრეტელობა და პირადი მამაც

გამარჯობა თუ დაშარცხება და  
 ომთან დამოკიდებული მოქმედებანი,  
 მრავალ შემთხვევითი მოვლენებიდან. თვ  
 ომისა, თუ ის თვით ხალხის მასაში ჰპოვ  
 ძველს, დიდად აღაფრთოვანებს ჯარს. ან  
 ვაში ჯარი და ხალხი, გამსჭვალულნი არ  
 და იმავე იდეით, იდეია ეს იქცევა ისე  
 რომელიც შეუძლებელს შეიძლება. ამ  
 მხარის ანგარიშის გაწევა თუ შესძლო  
 ნელმა, ის მაშინ არას თავის ადგილზე.

ისტორიიდან ვიცით რომ, ალექსან  
 დონელი ერთი მუჟა ჯარით შეიჭრა  
 და დაამარცხა დარბოზის უზარმაზა  
 ჰანნიბალი მცირე რიცხოვანი ჯარით  
 განმავლობაში იბრძოდა ძლიერი რომის  
 დევ თვით რომის ტერიტორიაზე.

როგორც მაკედონელი, იხე ჰანნიბა  
 ნენ მტკიცე ხასიათისანი, გამბედავნი  
 გამჭვრეტელნიც, მათი ჯარი კი აღფრთ  
 უწინდელ გამარჯვებით, სრულის ნდ  
 რწმენით მიჰყვებოდა თავიანთ სარდლებს  
 ამ შემთხვევაში ისინი ანგარიშს უწევდნ  
 ამ მორალურ მხარეს—აღფრთოვანებას.

1812 წელში ხომ მთელი რუს  
 აღსდგა ნაპოლეონის წინააღმდეგ. თუმც  
 მიზეზებიც იყო ნაპოლეონის დამარცხ  
 რამ თვით მასის თავ-გამოდებასაც დიდ  
 ლობა აქვს.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ სარდ  
 უნდა მამაცი იყოს პირადათ, თუ შორს  
 ტელობას მოკლებულია და საკუთარი ი  
 ვერ გამოიჩენს, საქმე ხდება.

გაიხსენოთ მაგალითისთვის მიურატ  
 დება 1805 წ. ნაპოლეონის კომპანიაში  
 რეთა (ინგლისი, ავსტრია, რუსეთი და  
 ნააღმდეგ იტალიაში, სახელობრ 19



ნან 11 ნოებრაჲდის. სანამ მიუტატი, კაცი მამაცი, გაბედული, მაგრამ მოკლებული მჭკვრეტელობას, მოქმედებდა გენიალი სარ- ხელმძღვანელობით, ყოველ ამოცანას ბრწინ- ასრულებდა. მაგრამ როცა საკუთარი ინი- ციით დაიწყო მოქმედება, დიდი ზიანი მიაყენა არ კაშხანას.

დრული კონტრასტი იყო მიუტატისა ნაპო- მის მეორე სარდალი ღენერალი დიუბონი. დ. 805 წ. ოპერაციაში მოკავშირეთა წინაღ- უპირაპროლოგონს ჰყავდა 200 ათასი კაცისხვა და ადგილზე. სხვათა შორის ამ ჯარის ერთი დი- ვიზი (6000) ღენერალ დიუბონისა, მთავარ ძალას შეტევილი (მიუტატის შეცდომით), იღგა მდინარე შორს მარცხენა ნაპირზე უღმის მიმართულებით; ხ. ესენი შეხვდნენ ავსტრიის ჯარის მოწინა- ადგანგარდი) რიცხვით 25 ათასს კაცს. მიუხე- დავალი მდგომარეობისა ღენერალმა დიუ- ბონმა, არ დააყოვნა და სანამ მოწინააღმდეგე გა- კვევოდა, ეკვეთა რიცხვით ოთხჯერ მეტს მთელი დღის სასტიკი ბრძოლის შედეგი შორს, რომ საღამოს ფრანგთა ხელში 6 ათასი ნდარჩა და მტერი ივლტოდა, თუმც ფრანგე- რა დაჰკარგეს 2 ათასი კაცი.

რომ მაგალითებიდან ის დასკვნა შეგვიძლია გა- ვიყნათ, რომ თუმც ორიგენი, როგორც მიუ- ცხეს დიუბონიც, იყვნენ პირადად მამაცი, იღვანეც, მაგრამ პირველს აკლდა სარდლის თრო შორს გამჭკვრეტელობა, მდგომარეობას (თროს) ანგარიშს არ უწევდა და თავის ინიცია- ტით მოქმედებას არ უგუებდა ბრძოლის საერთო მს. აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგს: ბონს რომ გაბედულება ჰკლებოდა, უნდა თა- სადგომი გამაგრებინა და ელოდნა სანამ ი დაეცემოდა. ეს კი მის სრულ განადგურებას წყვებდა. მხოლოდ როცა მან თვითონ აიღო ინიციატივა და ეკვეთა მტერს, მტერი ამ მოქმე- დებამ შეაფიქრინა; ის დარწმუნდა რომ საქმე უნდა ნაპოლონის ჯარის მოწინავესთან და იღია მთელი ძალის შიშმა გამბედაობა წაართვა. როგორ წარმოიდგენდა რომ ღენ. დიუბონი 25 ათასი კაცით ეკვეთებოდა 25 ათასს, თუ უკან ი დაძალო არ მოსდევდა. აქ დიუბონმა იმოქმედა ნაპოლონის სისტემით: ბრძოლის დროს ინიცია- ტის ხელიდან არ გაშვება. ამასვე მოიმოქმედე- ნაპოლონის დიუბონის ადგილზე. ასევე იმო- ქმნა მან 1796 წ. იტალიაში, როცა მიუხედავად ი მდგომარეობისა სამი დღე ზედი-ზედ ეკვე- რიცხვით გაცილებით მეტს ავსტრიელთა

დიდი ხანი გავიდა-მას შემდეგ, დიდად განვი- ეროვნული თარდა ტეხნიკა, გაგრძელდა ომის ხაზიც, მაგრამ ეხლაც, ომის ხელმძღვანელის (მთავარ სარდლის) ამოცანა-ბრძანებების შესასრულებლად ყოველივე ერთეულის უფროსს უნდა ჰქონდეს ზემო ჩამო- თვლილნი ღირსებანი. მომენტის მდგომარეობის და მიხედვით გაბედული მოქმედება, თუ შეესაბამება საერთო გეგმას, ამოცანის ნახევრად შესრულებას უდრის. თუ სარდალს საკუთარი ინიციატივა და შორს გამჭკვრეტელობა არ აქვს და ბრძოლის საერთო გეგმას არ გაუწია ანგარიში, შეუძლია დიდი ზიანის მოტანა, რადგან ხელმძღვანელის განმარტება შესაძლებელია ვერ მიუსწრებს, 30-40 ვერსის შესაძლებელ დაშორების გამო. ყოველივე მოქმედება ცალკე ერთეულის უფროსისა უნდა შეფარდებულ იქმნას ბრძოლის საერთო მიზნის მისაღწევად, მაშინ კი უფროსი უნდა მოქმედებდეს გაბედულად და ეცადოს ხელიდან არ გაუშვას შე- ტევის ინიციატივა.

ბევრი შემთხვევა ახსოვს ისტორიას იმისა, თუ რა ცოტა რამეს შეუძლია აღაფრთოვანოს ჯა- რი ან და იგივე ჯარი გულგახეთქილი ივლტო- დეს, ბრძოლის ველიდან. ასეთ შემთხვევაში სარ- დალი თუ არ დაიბნევა და არ დაჰკარგავს სიჭიჭე- დეს პირადი მაგალითით შეუძლია უკან დააბრუ- ნოს გამოქცეულნი და მტერიც განდევნოს.

ეხლანდელი ჯარის კაცი დიდად განსხვავდება უწინდელზე, მაგრამ თავგანწირვის და აღფრთო- ვანების უნარი ეხლანდელსაც აქვს, მით უმეტეს, რომ შეგნებული, იღვით განმსჭვალული ჯარის კაცი უწევს ანგარიშს ომის მიზანს და მიზეზს.

შ. ჟორდანიას.

### ჯარის ალღუმი.

დილის ათ საათიდან იწყეს ჯარებმა თავის მო- ყრა. სხვა-და-სხვა მხრიდგან მუსიკით მოდიოდა გმირთა ერთეულები. სრულის წესრიგით ჩამწყვირ- დნენ შოთა რუსთაველის ქუჩაზე, ორთავე მხრივ. მარჯვენა ფრთა ჯარისა იწყებოდა საქართველოს სამხედრო სობოროდან, მარცხენა თავდებოდა თი- თქმის ვერის აღმართის თავში.

ამინდმა ხელი შეუწყო, მზემ გამოანათა და ისედაც ამაყი და მოცინარი სახე გმირ შემორებისა უფრო გააბრწყინა და სიხარული მოჰგვარა.

მთავრობის თავჯდომარე ბ. ჟორდანიას 12 სა- ათზე გამოვიდა სასახლედან და სამხედრო მინი- სტრის, გენერალიტეტის და პარლამენტის ზოგიერთ წევრთა თანხლებით ჩაუარა ჯარის კედაროს; მის შუა ადგილას მან მიულოცა ჯარს გამარჯობა და მადლობა გადაუხადა სამსახურისათვის მთავრობის



პირით. ვაშაო, შესახა ბ. ჯორდანიამ და ვაისმა გუგუნი, ვაშა—ურას ძახილი მთელი ჯარისა.

ამის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ საცერემონიო გავლით თავის წინ გაიტარა ჯარი.

აღფრთხილებით და გულის ძვრით შევცქეროდით საქართველოს ამ საუკეთესო შვილთა სინდისიერათ მოვალეობს მოხდას და სრულის თავდაჭერილობით და წესით ბრძანებების შესრულებას. ეს თითქოს გუშინდელი ნაკრები ჯარი ისე მწყობრად მიდიოდა, თითქოს რამოდენიმე ლაშქრობა მოეხადნათ და სწავლების სრული ვალეები გაველოთ. დიახ, უნარიანია ჩვენი ხალხი, ბევრი ჩიჩინი და ვარჯიშობა არა სჭირია; ესენი წარსულ დიდი კულტურის შვილინი, მეტად ნაკლებ მუშაობას და შეცადინებობას მოითხოვენ ჩვენგან სამხედრო ხელმძღვანელთაგან.

მით უკეთესი ჩვენთვის, მით უკეთესი სამშობლოსათვის, რომელიც მოკლე ვადიან სამსახურით, სრულიად მიახწევს იმ მიზნებს, რაიც საჭიროა ჯარიანობისათვის; მაგრამ მით უფრო მედგარი და შეუჩერელი მუშაობაა საჭირო, რომ ბუნებრივ შეგნებული ადამიანი, მოკლე ხანში სრულყოფილ სამხედრო ხელობაში.

გადაიღეს კინემოტოგრაფიული სურათი აღლუმისა. თუმც კოტა, მაგრამ მოუსწვრიათ ბორჩალოს ომის ეპიზოდების გადაღებაც. საჭიროა მოეწყოს ყველა ამაების ჩვენება ჩვენს ერთეულებში, რასაც, უსათუოდ უნდა თანსდევდეს ახსნა-განმარტება.

გულის ამჩუყებელი იყო ერთი ჩვენი მანდილოსნის საქციელი: მას დიდი კალათით გამოეტანა ყვავილები და ჩვენს სახელოვან ჯარის-კაცთ ფეხქვეშ უყრიდა გავლის დროს. ბევრმა გადმოყარა ამის დანახვაზე სიხარულის ცრემლები და ეუბნებოდნენ ერთმანეთს: ოხ, რა მშვენიერებააო.

**ცავარელი.**

**სომხეთ-საქართველოს კონფერენცია დროებითი შავის შესახებ.**

1) იანვრიდან თფილისში დაიწყო სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მუშაობა, რომელიც ეხებოდა 1918 წლის 31 დეკემბრის 12 საათზე შეკრულ დროებითი ზავს. კონფერენციას მოუწინააღმდეგებდნენ სხდომა. კონფერენციას დაესწრო ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელი — სტიუარტი, ლურუა და სხ.

სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა, რომ საქართველოს ჯარებმა უნდა დაიხიონ იმ ხაზამდე, სადაც ისინი იდგენ დროებითი ზავზე ხელის მოწერის დროს, საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ საქართველოს ჯარები უნდა დარჩენ იმ პოზიციებზე, რომელზეც ისინი იდგენ 31 დეკემბერს 12 საათზე, სამხედრო მოქმედების შეწყვეტის დროს.

კამათის შემდეგ შეთანხმების სახელმწიფოთა მომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეთანხმებები საქართველოს დელეგაციის თვალსაზრისს. ამგვარ ვე გადასწყდა საკითხი. ამის წინააღმდეგ სომხეთის წერილობითი პროტესტი განაცხადეს.

მეორე საკითხი შეეხებოდა ნეიტრალურ ნაშვი ადმინისტრაციის მოწყობას. სომხებმა დადება შეიტანეს: მოეწყოს ადმინისტრაცია პირისაგან: ერთი უნდა იყოს საქართველოს მხარის, მეორე — სომხეთის და მესამე ადგილობრივ მცხოვრებლებიდან არჩეული, და მთელი კოლმე შეთანხმების სახელმწიფოთა კონტროლს უნდა ემდებარებოდესო. საქართველოს დელეგაციის ნადადება იყო: თითო წარმომადგენელი სომხეთი და საქართველოსი და მათ შორის გამოწვეულ დავო საკითხებს უნდა სწყვეტდეს შეთანხმების ხელმწიფოთა წარმომადგენელი. კონფერენცია საკითხიც ასე გადასწყვიტა.

მესამე საკითხი ეხებოდა რკინისგზას ნეიტრალურ ხონაზე. სომხებმა მოითხოვეს აქ შეჩერებული კომისიის დანიშვნა. საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა რომ რკინის გზა გადაეცეს რესპუბლიკის გზამინისტრს. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების დასტურით კონფერენციამ ეს წინადადება მიიღო. სომხებმა ამის შესახებ პროტესტი განაცხადეს. კონფერენციის თავმჯდომარემ, ინგლისელმა პოლკოვნიკმა სტიუარტმა სთხოვა საქართველოს დელეგაციას, რომ ყველა დადგენილ მალე განხორციელდეს. სომხები მოითხოვედნენ ახსნა ქალაქის მხარის ადმინისტრაციის საკითხის დასამაგრამ საქართველოს დელეგაციამ პროტესტი განაცხადა და სთქვა, რომ ეს შინაურ საქმეებში ჩარევა არის. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამაზე დათანხმდნენ. საკითხი სავსებით მოიხსნა.

სამხედრო ტყვეების შესახებ სომხებმა მოთხოვეს საქართველოში ომის დროს დაჭერილ სომხების განთავისუფლება. საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ ეს საქართველოს შინაურის შემთხვევაში ჩარევას მოასწავებსო. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამაზე დათანხმდნენ საკითხი სრულიად მოიხსნა.

გარნიზონების რიცხვის განსაზღვრაზე შეთანხმება მოხდა. ამ საკითხის გარჩევის დროს საქართველოს წარმომადგენლებმა პოლკოვნიკ სტიუარტს მიმართეს: გირანტიას იძლევი, რომ სომხეთი კიდევ არ დაგვესხმის თავსო? პოლკ. სტიუარტმა უპასუხა: შეთანხმების სახელმწიფოთა მხედრობა ამ მოთხოვნილ გარანტიას იძლევა, რადგან სომხეთის მხრივ ხელახალი თავდასხმა ომის მიზეზი იქნება არა სომხეთსა და საქართველოს შორის, არამედ სომხეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის.



# კვირეული მიმოხილვა.

უკანასკნელ კვირეულ მიმოხილვაში, როდესაც ჩვენ შევეხეთ საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის მდგომარეობას, ვსთქვით, რომ „საერთაშორისო ჩვენი სახელმწიფოებრივი სახის გამოარკვევა და განმტკიცება ჩვენს შინაურს მდგომარეობასაც მეტათ განამტკიცებს და შეძლებას მოგვეცეს საქართველოს დემოკრატიის ბედნიერების საკუთრებულზე ღვიოდეს მუდმივი, ჩაუქრებელი, მანათებელ-განმანათლებელი ცეცხლი. ამ ცეცხლს საქართველოს მთავრობა დღესაც უკეთებს, აღვივებს: არ გაჩერებულა არც ერთი წამი, არც ერთი წუთი.“ და მართლაც საქართველოს პარლამენტის და მთელი მთავრობის შემოქმედებითი მუშაობა აქეთ არის მიმართული. საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მუშაობის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მიმართულება, რომელსაც საქართველო მიყავს საერთაშორისო საზოგადოებასთან კონფერენციისაკენ. ყველა ერი, ყველა სახელმწიფო ემზადება და მიეზურება საერთაშორისო საზოგადოებასთან კონფერენციაზე, სადაც საბოლოოდ უნდა მოგვარდეს ომის მიერ გამოწვეული გადასაწყვეტი საკითხები. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის წინააღმდეგობის დასრულება-დამტკიცებისათვის შეწყვეტილი არ იქნეს. ამ მხრივ მიმართული მუშაობა, არ გადავამეტებთ თუ ვიტყვი, კარგ ნაყოფს ღებულობს და მზიან იმედით გვაფრთხილებს.

\* \*

აქარა, გულმოკლული და დაბეჩავებული მხარე კვლავ თავის ძმებს უბრუნდება... და რაც მეტად სასიამოვნოა, უბრუნდება ხალისით. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი მიმართავს ამ პოლიტიკის გზას და შესაფერ პასუხს აძლევს მათ, ვინც ბათუმში დღეს მოკალათებულია. ბათუმში ინგლისელების მიერ დანიშნული, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ახუნულაგებული მმართველი საბჭო ბ. მასლოვის მეთაურობით უკმაყოფილებას იწვევს აქარაში და სამაჰმადიანო საქართველოს სხვა და სხვა კუთხის წარმომადგენლების სამი იანვარის კრება მოითხოვს ინგლისელებისაგან: „აღდგენილ იქნეს სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთა კანონიერი უფლებანი და საბჭო შედგენილ იქნეს ადგილობრივ მუსულმან ქართველთა უმრავლესობისაგან. ასეთი საშვალეობა უბრუნველყოფს სრულ მშვიდობიან ცხოვრებას ჩვენში“. ცხადია, თუ რაოდენ უნდობლათ ეპყრობიან ზემოდან დანიშნულ მოხელეებს და ისიც ძველ მოხელეებს. ეს იმის აშკარა დამამტკიცებელია, რომ აქარა ველარ ეგუება გარედან მაკარანახებელს და ემზადება, მუშაობს დიდი მიზნისათვის, რომელიც გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ში ცხადათაა ხაზგასმული: „ჩვენი მიზანია, — სწორს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო, — სამუსლიმანო და საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უბრუნველყოფა და ამავე დროს სამუსლიმანო საქართველოს თავისუფლების განმტკიცება“. აქეთაა გზა სამუსლიმანო საქართველოსი და მას მხარეში უდგას საქრისტიანო საქართველო, რომლის უდრეკი ნებაა მთლიანობა დი თავისუფლება, რაც დეკლარაციაში გამოი-

ხატა: „თანამთა მთელი საქართველოს მოქალაქეებს ვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყველანი ერთად გვბრობის თავიდან ასაცილებლათ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ: სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას“. ესაა, წერტილი, სადაც თავს მოიყრის და შეერთდება მთლიანათ საქართველო და ჩვენ შეძლება გვექნება ხმადაღმა დავიძახოთ: გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში“!

\* \*

საქართველოს რესპუბლიკა, რომელსაც თავს დაესხა სომხეთის მთავრობა როგორც ვიცით, ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ბრძოლის ველზე გამარჯვებას თან მოჰყვა დიპლომატიურ კაბინეტში გამარჯვებაც. იქაც და აქაც მეტათ გამოაშკარავდა სომხეთის მესვეურთა გულისინადები და ზრახვანი, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული. ეს მიმართულება, რომელიც საბედისწერათ აიღო დაშნაკაცანების პარტიამ, და რომელსაც იგი მთელ თავის ენერჯიას სწირავს, უნაყოფოთ მიმდინარეობს. უკანასკნელმა სომხეთ-საქართველოს კონფერენციამ ეს აშკარათ დაამტკიცა. სომხეთის წარმომადგენლების პრეტენზიები დაკმაყოფილებული არ იქნა და ყველა საკითხში საქართველოს შეხედულებამ გაიმარჯვა. ეს სჩანს იმ ანგარიშიდან, რომელიც დღეს ჩვენს ჟურნალში იბეჭდება და რომელიც ისე ცხადია, რომ მასზე ლაპარაკის გაგრძელება ზედმეტათ მიგვაჩნია.

\* \*

თუ შეიძლება ითქვას საქართველო დიდ საარჩევნო ხანაში შედის. სულ ახლო მომავალში მოხდება ქალაქების თვითმმართველობათა არჩევნები და თებერვლის 14-ს კი საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. გაცხარებული საარჩევნო მუშაობა სწარმოებს და გვწამს, რომ გამარჯვებით დასრულდება იმ მიმართულების ბრძოლა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიის ინტერესებს თავზე ევლება და ენაცვალება.

ვ. მოძველი.

# პროზნიკა.

1) იანვარს ღამით, როგორც მოხსენებული გვექნა, თფილისიდან ევროპაში გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია.

სადგურზე დელეგაცია გააცილა დიდძალმა საზოგადოებამ. სადგურის ბაჟანზე ჩამწკრივებული იყო ჯარის ნაწილი ორკესტრით. ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძემ.

კ. ჩხეიძემ თავის სიტყვაში განმარტა, თუ რისთვის მიდის დელეგაცია დასავლეთ ევროპაში, რა მიზანი აქვს ამ წასვლას.

ჩვენ მივიღვართ, რომ ვაუწყოთ დასავლეთ ევროპას საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა, ვაუწყოთ ქვეყანას, რომ საქართველოს დემოკრატიის ძალა შესწევს საკუთარის ძალღონით უპატრონოს თავს, რომ ეს დემოკრატია არავის თავს არ დააჩაგრინებს და სხ., მაგრამ, თუ თვით საქართველოში არ იწარმოებს ისეთივე მწყობრი მუშაობა, როგორც ღდემდე სწარმოებდა, უკეთუ ძველებურათ თავგამოდებით არ იქნა დაცული საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან, ჩვენი დელეგაციის მუშაობა ფუჭად ჩაივლის, არავინ ყურადღებას არ მოგვაქცევს.

თქვენ, საქართველოს ჯარი და სხვა სხვა გვარდია, უღებთ მკერდით საქართველოს მტერს, იცავდით ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას და თუ თქვენი მუშაობა შემდეგშია ისეთივე იქნება, დელეგაციის მუშაობაც ნაყოფიერი ღირსება, საქართველოს დემოკრატიაც გამარჯვებული გამოვა.

ორკესტრმა დაუკრა ქართული ჰიმნი, ჯარისკაცებმა და დამსწრე საზოგადოებამ „გაუმარჯოს“ ძახილით გააცილა დელეგაცია. შუადამის სწორეთ 11 ს. 30 წ. მატარებელი დაიძრა და ჩვენი დელეგაციაც დასავლეთ ევროპისაკენ გააქანა.

14 იანვარს დღის 12 საათზე თბილისში გაიმართა საქართველოს ჯარების პარადი. მონაწილეობდნენ ჯარის ყველა ნაწილები.

პარადი მიიღო ნოე ჟორდანიამ.

თბილისში ჩამოვიდა ინგლისელების (სიპაები) ჯარი, რიცხვით 1,000 კაცი.

მთავრობის განკარგულებით თბილისის გუბერნიაში გარდა თბილისის და ბორჩალოს მაზრებისა 13 იანვრიდან სამხედრო წესები მოიხსნა.

საქართველოს პარლამენტმა განიხილა რა შეიკითხვა მთავრობისადმი სომხების ჩხრეკა-დაპატიმრების შესახებ, მოიწონა მთავრობის მიერ მიღებული ზომები.

საქართველოს დელეგაციასთან ერთად ევროპაში გამგზავრა სომხეთის და ადერბეიჯანის დელეგაციები: სომხის დელეგაციაში შედიან: აპარონიანი, პაპაჯანოვი და ოგანჯანიანი. ადერბეიჯანისაში: თოფჩიბაშევი, ალაევი და გაჯინსკი. მოკავშირეებმა დელეგატებს ცალკე გემი დაუთმეს.

დღეს თფილისში ჩამოვა მთიელთა დელეგაცია, რომელიც ევროპაში მიდის. დელეგაციაში შედიან: გაიდაროვი, ჩერმოვი და სხვანი.

სპარსეთის კონსულმა ტაგი ხანმა საგარეო საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რომ 9 იანვრიდან ის არის დამცველი ოსმალეთის და ავსტრია-ჰუნგარეთის ქვეშევრდომებისა საქართველოს რესპუბლიკაში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ერთი ნაწილი უკვე გადავიდა ოზურგეთიდან ბათუმ-აჭარა ქობულეთისაკენ.

სამაჰმადიანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენელი ინგლისელმა გენ. გუბენატორმა თანაგრძნობით მიიღო და აღუთქვა მთელ ბათუმის ოლქში საპასუხისმგებელი ადგილზე და საერთოდ აღმინისტრაციაში დანიშნავს ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილ პირებს.

საქართველოს მთავრობამ სამაჰმადიანო საქართველოს ავტონომია მიანიჭა.

ბერლინში არეულობა და დიდი უწყესიობაა. ბრძოლა მთავრობისა და სპარტაკელების შორის. სპარტაკელები მარცხდებიან.

საბჭოთა ყრილობის დადგენილება ეროვნულ ყრილობის არჩევნების 19 იანვრისთვის დანიშნვის შესახებ მიღებული იქნა 400 ხმით, 50 წინააღმდეგ.

ახალ სამინისტროში შედის მუშათა პარტიის 5 წევრი, არჩევნების შემდეგ მეექვსეც შევა.

მიუნენში გაფიცვებია. დრეზდენში, დიუსელდორფში, აუგსბურგში, შტუტგარტში და ჰამბურგში ამბოხება ძლიერდება. ქალაქს ზარბაზნებს და ყუმბარებს უშენენ. ზარალი დიდია.

უკრაინის საგარეო მინისტრმა რუმინის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც უთითებს რუმინის ჯარის მიერ უკრაინის საზღვრის გადალახვას და ზოგიერთ ადგილებში ჯარის შეგროვებას.

ინგლისში რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ.

ვარშავაში დიდი ბრძოლებია. მთავრობის წინააღმდეგ მანიფესტაციები იმართება.

ბრესტ-ლიტოვსკს გერმანელები სტოვებენ

პოლონეთში განზრახულია ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებისაგან მთავრობა შეადგინონ.

დასავლეთ ფრონტზე დროებითი ზავის ვადა თავდება იანვრის 17-ს. მოკავშირენი ვადის გაგრძელების წინააღმდეგნი არიან, — ბერლინში ზომიერ სოციალისტების მთავრობა ჯერ კიდევ არსებობს.

ბერლინში სპარტაკელთა ბუდეები გაანადგურეს. მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი დიდია. დაპატიმრებულებში არის ლიბკნეხტის შვილი. როზა ლიუქსენბურგი ჰამბურგში გაიქცა; დიდი ბრძოლაა სილეზიის და სხ. სადგურების ასადებლად. რესპუბლიკინური ჯარები ქალაქში კიდევ შევიდნენ. ახლა სიმშვიდე და წესიერებაა.

პრუსიით უკმაყოფილოა ბავარია, ვიურტენბერგი და ბადენის საჰერცოგო. მიზეზი არეულობის გაგრძელებაა, რაც ზავს აგვიანებს.

# საყურადღებო.

ჩვენ არა ერთხელ შეგვეკითხნენ სამხედრო პირები შესახებ შემნახველ კასების წიგნაკების და საკრედიტო მოწმობათა შესახებ. ამის გამო სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილება გვაცნობებს. რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებათა ძალით გაცემა შემნახველი კასების წიგნაკებისა აიკრძალა, სამაგიეროთ ოფიცრებს ჯარის იმ ნაწილებისა და უწყებების, რომელთა ლიკვიდაცია მოხდა, მიეცათ საკრედიტო მოწმობანი, გარდა 1000 და 500 მანეთისა, და ისინი ჩაირიცხნენ რუსეთის ხაზინის კრედიტორებათ; იმ კითხვაზე, მიიღებენ თუ არა ეს კრედიტორები მათ მოწმობებში აღნიშნულ ფულსა, ვერაფერი ითქმის რადგან საქართველოს რესპუბლიკა მოვალე არ არის იმ ფულის გადახდისა, და როდის დაწყნარდება რუსეთი და დამყარდება ისეთი მთავრობა, რომელთანაც შესაძლებელი იქნება ამ ფულების მიღების შესახებ მიმართვა, საადმინისტრაციო განყოფილება არ უწყის.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

# „საქართველოს კონსპუკტიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ

ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხ-  
რით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის  
10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82

შანი 1 ბ. 50 კ.